საერთო გაზეთი

№20 (525) • 5 ივნისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ლადო კახაძე: ამ ხნის კაცი ვარ, უფრო ცოტა დრო დამრჩა ცხოვრების, ვიდრე ვიცხოვრე, ამიტომ მთაწმინდელების წინაშე თავის შერცხვენას არ ვაპირებ და ყველაფერს ვიღონებ, რომ დანაპირები პირნათლად შევასრულო

მავნებელი გამოძახებით

ვინ დარეკავს იქ, „ზემოთ“ და ვინ შეატყობინებს სამყაროს უზენაეს მმართველს, რომ დედამიწა შეშლილებმა დაიპყრეს

სხვა გზა არ არის – ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს!

მე თუ მკითხავთ, ევროპის ქვეყნებიდან და უკრაინიდან საქართველოს ელჩები კინწისკვრით არიან გამოსაყრელნი

აქა ამბავი საქართველოდან გატანილი 17 მილიარდი დოლარისა

დაკარგულების პოვნის დღესასწაული უკრაინაში

სამი აფერისტის ხელში ჩაძირული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი!

მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას: გაბედეთ და ხმამაღლა თქვით სიმართლე - თუ ვინმე უშლის ხელს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას, ეს არის პირველ რიგში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ და მისი ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე

მავნებელი გამოძახებით

ვინ დარეკავს იქ, „ზემოთ“ და ვინ შეატყობინებს სამყაროს უზენაეს მმართველს, რომ დედამიწა შეშლილებმა დაიპყრეს

ვახტანგ ხარჩილავა:

ის, რაც მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით ხდებოდა და ხდება დღემდე, ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ძალა, რომელიც არამარტო ცალკეული სახელმწიფოების, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკური ცხოვრების ვექტორებს განსაზღვრავს, აბსოლუტურად გარყვნილი, ზნეობისა და მორალისაგან დაცლილი ძალაა, რომელიც აბუჩად იგდებს მთელ კაცობრიობას, აბუჩად იგდებს საერთაშორისო კანონმებს და სამართლებრივ ნორმებს და იქცევა ისე, როგორც მას სურს და როგორც მას სჭირდება.

ამ ძალას შეუძლია „დემოკრატიის შუქურა“ დაარქვას კაცს, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში ძალადობდა საკუთარ ხალხზე, კაცს, რომლის „დემოკრატიული“ მმართველობის დროს ქუჩაში ხვრეტდნენ ადამიანებს, ციხეებში ყრიდნენ ათასობით უდანაშაულო ადამიანს, ძარცვავდნენ, აყაჩაღებდნენ, ქონებას ართმევდნენ მოქალაქეებს.

მოგვიანებით, ეს „დემოკრატიის შუქურა“, თავის დესანტთან ერთად, უკრაინაში მიავლინეს უკრაინის გასანათებლად და გასანათლებლად.

უკრაინის იმჟამინდელ პრეზიდენტს საქართველოს მეგობარ პარაშენკოს სულ „დაავიწყდა“, რომ ამ „შუქურასათვის“ ქართულ სასამართლოს საკმაოდ სერიოზული „სროკი“ ჰქონდა მისჯილი და უკრაინის მოქალაქეობა და ოდესის გუბერნატორობა უბოძა.

რა საინტერესოა, როგორ ჯდება ეს ყველაფერი ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ჩარჩოებში?

რაც პარაშენკომ მოიმოქმედა, არ არის ეს სრული უპატივცემულობა ქართული სახელმწიფოს მიმართ?

მოგვიანებით პარაშენკომ გამოასწორა „შეცდომა“ და მსჯავრდებულ სააკაშვილს მოქალაქეობაც ჩამოართვა, გუბერნატორობიდანაც მოხსნა, მაგრამ მოვიდა მეორე პრეზიდენტი ზელენსკი და ახლა იმან გამოასწორა პარაშენკოს შეცდომა, თუმცა ამ ზელენსკიმაც ფეხებზე დაგვიკიდა და არც საქართველოს ხელისუფლებისთვის უკითხავს რამე და არც ქართველი ხალხისთვის მოუხდია ბოდიში, ისე დაუბრუნა უკანონოდ „დაჩაგრულ“ მიხაილოს უკრაინის მოქალაქეობა.

მსგავსი ფაქტი სხვაგან და სხვა სახელმწიფოებს შორის რომ მომხდარიყო, ეს აუცილებლად გახდებოდა ამ სახელმწიფოებს შორის დიდი სკანდალის და დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის საბაბი, თუმცა ჩვენ მხოლოდ სასხავათაშორისოდ გავაპროტესტეთ ზელენსკის გადაწყვეტილება და ინციდენტი ამით ამოვწურეთ.

კი, ბატონო, გასაგებია, რომ საქართველოს პატივს არ სცემთ, მაგრამ საკუთარ ქვეყანას მაინც რატომ აყენებთ შეურაცხყოფას, ძვირფასო უკრაინელებო, ამ საერთაშორისო მასშტაბის აფერისტს და კრიმინალს ასე რომ აპარპაშებთ მრავალჭირნანახ უკრაინულ მიწაზე?

თუმცა უკრაინისა რა მიკვირს, როცა იმ მრავალ სახელმწიფოთა შორის, რომელთათვისაც, როგორც თავად ბრძანებენ, კანონი და სამართალი არის უზენაესი ღირებულება და ფასეულობა, არავის მოაფიქრდა, ყურში წაევლო ხელი მათ ტერიტორიაზე „უპრაგონოდ“ მოხეტიალე ამ მსჯავრდებულისთვის და იმ სახელმწიფოსთვის გადაეცა, რომლის რომელიმე ციხის საკანში უნდა იჯდეს, წესით და რიგით, ეს მანიაკი და ავანტურისტი.

მაინცდამაინც ქათმის ან მობილურის ქურდობისთვის უნდა იყოს გასამართლებული ვინმე, რომ სამართლებრივი რეაგირება მოახდინოთ და დამნაშავე ელემენტი იმ სახელმწიფოს მიჰგვაროთ, სადაც ის გასამართლებულია?

არა მარტო ქართველი, სრულიად მსოფლიოს საზოგადოება ტვინს იჭყლეტს იმაზე ფიქრით, ვინ შეიძლება მფარველობდეს და ვისი აგენტი შეიძლება იყოს მთელ პლანეტაზე თავის ჭკუაზე მოხეტიალე ტიპი, გვარად სააკაშვილი?

ანალიტიკოსები და ექსპერტები სამ ვარიანტზე ჩერდებიან — ერთნი თვლიან, რომ სააკაშვილი ამერიკელების აგენტია, მეორენი ფიქრობენ, რომ სააკაშვილი რუსეთის აგენტია, მესამენი ვარაუდობენ, რომ იგი რუსეთის აგენტიც არის და ამერიკელებისაც, ანუ ორმაგი აგენტია.

თუმცა სააკაშვილის მიერ ჩატარებულ ფოკუსებს რომ დააკვირდე, შეიძლება არც ერთს დაეთანხმო, არც მეორეს, არც მესამეს და იფიქრო მეოთხე ან მეხუთე ვარიანტზე.

სააკაშვილი შუაღამემდე ამერიკელების საქმეს აკეთებს და რუსების საქმეს აფუჭებს, შუაღამის შემდეგ რუსების წისქვილზე ასხამს წყალს და ამერიკელებს უწყლოდ ტოვებს, ხან ერთდროულად ორივეს საქმეს აკეთებს, ხან ორივეს საქმეს ჩააფლავებს.

სააკაშვილს უფრო ეს სახელი შეეფერება — მავნებელი გამოძახებით!

თუ შეიძლება არსებობდეს კაცი გამოძახებით, სანტექნიკი გამოძახებით, რატომ არ შეიძლება არსებობდეს მომსახურების ეს სფერო — მავნებელი გამოძახებით?!

როგორც ჩანს, ეს მავნებელი გამოძახებით, იმ ძალას ემორჩილება, რომელზეც წერილის დასაწყისში ვისაუბრეთ — ძალას, რომელიც მთელ მსოფლიოს მართავს და რომლის უხარმაზარი ძალაუფლება რაღაც დოზით აშშ-ზეც ვრცელდება, რუსეთზეც, ჩინეთზეც, ევროპაზეც, აზიაზეც და აფრიკაზეც.

ადა მარშანიას თუ დავუჯერებთ, ათი პოლიტიკოსიდან რვა შეშლილია.

იმ პოლიტიკოსთა ნამოქმედარს თუ გადავავლებთ თვალს, რომლებიც მსოფლიოს მართავენ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ეს დიაგნოზი სწორია.

ვინ დარეკავს იქ, „ზემოთ“ და ვინ შეატყობინებს სამყაროს უზენაეს მმართველს, რომ დედამიწა შეშლილებმა დაიპყრეს და აქაურობა ბავშვების, ქალების, მოხუცების და ჯარისკაცების გვამებით გაავსეს.

სისხლის ოკეანე დგას დედამიწაზე და ეს ოკეანე ყოველდღე ივსება სისხლის ახალ-ახალი მდინარეებით!

თუნდაც ბოლო 30 წლის განმავლობაში დატრიალებულ შემზარავ ტრაგედიებს თუ გავიხსენებთ, რომლებსაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ქვეყნები და სახელმწიფოები შეეწირა, ვერ დაიჯერებ, რომ ყოველივე ამას რაიმე კავშირი აქვს ცივილიზაციასთან.

ეს XXI საუკუნის კანიბალების „ცივილიზაციაა“, რომელიც ჭკუიდან გადასული შეშლილი მკვლელების ინსტრუქციებით იმართება.

ჩვენი შეშლილიც შესანიშნავად ჩაეწერა შეშლილთა საერთაშორისო ელიტის რიგებში.

ეს იმდენად საჭირო კაცია მათთვის, რომ მზად არიან, ყველა ეს დანაშაული ჩამოაწერონ, რომელიც დღემდე ზარავს საქართველოს თავისი სისასტიკით და სადიზმით.

სწორედ მათგან ზურგგამაგრებული იქადნება იგი, რომ თავის ბანდასთან ერთად კვლავ დაბრუნდება ხელისუფლებაში, რომ ქვეყანა ბიძინა ივანიშვილისგან „გაათავისუფლოს“.

ეს იმ ბიძინა ივანიშვილზეა საუბარი, რომელსაც სამი მილიარდი აქვს გაღებული ქველმოქმედებისა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის.

სამაგიეროდ, „წესიერ“ და „პატიოსან“ სააკაშვილს, თავის „რაზბოინიკებთან“ ერთად, ცხრა წლის განმავლობაში 17 მილიარდი აქვს „ათვისებული“ და ქვეყნიდან გაზიდული.

აი, ეს შარაგზის ყაჩაღი და მისი კრიმინალური სინდიკატი აპირებს უკან დაბრუნებას და თუ „ისინი“ მოინდომებენ, დააბრუნებენ კიდევაც.

რა პრობლემაა — ქართველ ხალხს თავზე დააშარდავენ და დააბრუნებენ!

●

...ყოველივე ამას ერთად რომ ხედავ და ერთ მთლიან სურათად რომ გაიაზრებ, შეიძლება უიმედობის და უილაჯობის გრძნობამ შეგიპყროს.

„ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის“, — ამბობდა ასეთ დროს პოეტი, თუმცა საშველი ყოველთვის არის, თუნდაც ყველაზე გამოუვალ და კრიზისულ სიტუაციაშიც კი.

საშველი ჩვენს გაუტეხლობაში, სიმტკიცეში და სტოიციზმშია.

სატიაგრაჰას ეძახდა ამას მაჰათმა განდი (სატიაგრაჰა — შეუპოვრობა ჭეშმარიტებაში).

ქართველებმაც უნდა გამოვაცხადოთ ჩვენი სატიაგრაჰა.

ხსნის და გადარჩენის სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აღლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სხვა გზა არ არის – ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს!

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, თქვენ, ერთ-ერთი პირველთაგანი ხართ ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ გასამართლებას და ქართული ნიურნბერგის პროცესის გამართვას ითხოვდით. დღეს, სააკაშვილი მოქალაქეობამინიჭებული დაუბრუნდა უკრაინას. რა ლოგიკური განვითარება შეიძლება ჰქონდეს ყოველივეს?

— საკმაოდ მძიმე თემაა. ჩემი თვითმიზანი არ არის ვინმეს გასამართლება ან ციხეში გაშვება, მაგრამ როდესაც კონკრეტული პირი ქვეყნისთვის პრობლემას წარმოადგენს, ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია ეს ადამიანი გააუვნებელყოს. ანუ, საფრთხე რაც ქვეყანას, დღეს, სააკაშვილის მხრიდან ემუქრება, შემდეგია: იგი, მუდმივად, არის საქართველოს დესტაბილიზაციის, მისი უკანდახევის ფლაგმანი. აქედან გამომდინარე, გარდა იმ უბედურებებისა რაც მან კონკრეტულ ადამიანებს ციხეებსა თუ მის გარეთ დამართა, ქვეყანას, ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, უზარმაზარი ზიანი მიადგა. ამიტომ, სააკაშვილს ამ პოლიტიკისთვის პასუხი უნდა ეგო. ასევე, მან მორალური კუთხითაც მიაყენა ზიანი ქვეყანას: დაანგრია განათლების სისტემა, მოშალა ფუნდამენტი, რაზედაც საქართველო ოდითგანვე, საუკუნეების მანძილზე იდგა, შელახა ქართული ტრადიციები, ღირებულებები. მან სრულიად ერს დიდი ზიანი მიაყენა და ეს ფაქტი დაუსჯელი დარჩა მაშინ, როცა ციხეებში სხედან ადამიანები, რომლებიც სასჯელს 100–200 ლარის ქურდობისთვის იხდიან. ამ დროს, ისეთი სერიოზული დამნაშავე როგორიცაა მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, დღემდე პოლიტიკაში არიან. ამაში, მასმედია, თქვენი კოლეგებიც ძალიან სცოდავენ. ტელე-ჟურნალისტები „ნაცებს“ რესპონდენტებად აღიქვამენ, მათ ადამიანის უფლებებსა და ქვეყნის განვითარებაზე აზრს ეკითხებიან, რაც საზოგადოებაში პატიოსნების, წესიერებისადმი განცდას აქრობს. კრიმინალების დასჯა მხოლოდ ერთეულმა ადამიანებმა კი არ უნდა მოითხოვონ, არამედ მთელმა საზოგადოებამ. სწორედ ეს არის საზოგადოების მოთხოვნა, რასაც, რატომღაც, ჟურნალისტები მხარს არ უბამენ, პირიქით, ისე მოქმედებენ, რომ ამ პოლიტიკურად მიუღებელ, დამნაშავე ძალას საზოგადოებას როგორც პოლიტიკურად მისაღებ ოპოზიციურ ძალას ისე აჩვენებენ. წარსულზე, თითქმის, არავინ საუბრობს. ამ ორგანიზაციას პასუხი დღემდე არ უგია ჩადენილი დანაშაულობებისთვის. მეტიც, აქეთ გვსაყვედურობენ: როდემდე უნდა გვაძახოთ ეს 9 წლიანი რეჟიმიო. „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები და არა მხოლოდ ისინი, რეჟიმის მთავარ ფიგურებს შოუებში იწვევენ და ისე ეპყრობიან როგორც დამსახურებულ, პატივსაცემ ადამიანებს, რაც საზოგადოებაში მიუღებლობას იწვევს. სწორედ ამიტომ, საზოგადოებაში სერიოზული უკმაყოფილებაა არამხოლოდ ამ კრიმინალური ჯგუფის — „ნაცმოძრაობის“, არამედ ჟურნალისტების მიმართაც. რა უნდა მოხდეს, რომ ეს ყველაფერი შეიცვალოს? — სამართლიანობამ უნდა იზეიმოს, კრიმინალს კრიმინალი დაერქვას, ბოროტმოქმედს — ბოროტმოქმედი, დამნაშავეს — დამნაშავე და ღირსეულს — ღირსეული. ხელისუფლებამ სამართლიანობის აღდგენის კუთხით ნაბიჯები უნდა გადადგას, თორემ, შემდგომი ხელისუფალი აუცილებლად მოსთხოვს პასუხს: რატომ დააფარა ხელი დამნაშავეებს. ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს დრო სააკაშვილს, ყველა კრიმინალური დაჯგუფების წევრს, ვინც 9 წლიანი რეჟიმის დროს დანაშაულს სჩადიოდნენ, პასუხი აგებინოს.

— ქალბატონო ნანა, ჰიტლერის რეჟიმი ნიურნბერგის პროცესზე შეფასდა. ეს რომ არა, გერმანიაში ახლაც ბევრი ნაცისტი იქნებოდა. საქართველოში 9 წლიანი რეჟიმის შეუფასებლობა, იდეოლოგიური თვალსაზრისით, სირთულეებს ხომ არ აჩენს?

— თქვენ, ნიურნბერგის პროცესი ახსენეთ. ის, რაც გერმანიაში ფაშიზმის დამარცხების შემდეგ წარიმართა, ეს გახლავთ სამართლებრივი შეფასება. როგორ ფიქრობთ, ფაშიზმი რომ არ შეფასებულიყო, სხვა შემთხვევაში, რომელიმე მოსამართლე იქნებოდა გათავისუფლებული ან დასჯილი?! ამ ყველაფერს საფუძვლად სამართლებრივი შეფასება, მათი რეჟიმად, ფაშიზმად აღიარება დაედო. ვინც ამ რეჟიმს ემსახურებოდა, დაკვეთებს ასრულებდა, სასამართლოს პოლიტიკური მიზნით იყენებდა, ეს ადამიანები სასამართლოს უნდა ჩამოშორდნენ. მაგრამ ჩვენთან, გერმანიისგან განსხვავებით, შეფასება არ მომხდარა, გამოდის, რომ ახლა რაც ხდება პოლიტიკური დევნაა და მეტი არაფერი. თქვენ, გახსოვთ, რომ სააკაშვილის დროს სასამართლო პროკურატურაზე დაქვემდებარებული ორგანო იყო. უფრო მეტიც, საზოგადოება მოსამართლეებს პროკურატურის ნოტარიუსებს უწოდებდა. ისინი, დამოუკიდებლად, ვერანაირ გადაწყვეტილებებს ვერ იღებდნენ. პროკურატურის მიერ შედგენილ საქმეებს მოსამართლეები „ამტკიცებდნენ“, ბეჭედს არტყამდნენ. ეს იყო მათი ფუნქცია. იმდროინდელი სასამართლო იყო პროკურატურის ნოტარიუსი, მეტი არაფერი. ამიტომაც იყო, რომ იმდროინდელ სასამართლოში 0,001 გამამართლებელი განაჩენი დგებოდა. სტალინის დროს გამამართლებელი განაჩენი 10%-ზე მეტი იყო, სააკაშვილის რეჟიმის დროს კი — 0,001. ასეთი დამონებული, პოლიტიზირებული სასამართლო საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ამიტომ, რეჟიმი თუ არ შეფასდა, ეს სახელმწიფოს კიდევ უფრო დაანგრევს.

— როცა ხელისუფლება ვერ ან არ ახდენს რეჟიმის შეფასებას, ეს ხალხმა ხომ არ უნდა გააკეთოს?

— ხალხმა იმაზე მეტი რა უნდა გააკეთოს, როცა მან 2012 წელს არჩევნების გზით რევოლუცია მოახდინა. მთელი ერი ავჯანყდა და საარჩევნო ყუთებთან ეს რევოლუცია მოიგო — საქართველოში ფაშიზმი დაამარცხა. ხალხმა გაიმარჯვა და ფაშისტებს ძალაუფლება ჩამოართვა. ახალმა ძალამ კი ხელისუფლება ამ ფაშისტებით გატენა. რა ქნას ხალხმა, იარაღი აიღოს ხელში? აქეთკენ მიჰყავს ხელისუფლებას საზოგადოება, რომ თავად აღადგინოს სამართლიანობა? ეს უკვე ამ ხელისუფლების დანაშაულია, რომ ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანს პატივი არ სცა, მათი დაკვეთა არ შეასრულა, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის იზრუნა და სამართლიანობის აღდგენის კუთხით არაფერი გააკეთა. ათი ჯიპის დაბრუნებაა სამართლიანობის აღდგენა? იმისი არ იყოს, მიშა პიჯაკების გამო რომ გაასამართლეს. პიჯაკებია პრობლემა მაშინ, როცა კაცმა ქვეყანა დაშალა, ტერიტორიები გაასხვისა, პირდაპირი მნიშვნელობით ხალხს ტყავი გააძრო. ეს არის „ნაცმოძრაობის“, სააკაშვილის რეჟიმის გათეთრების პოლიტიკა. ეს არ არის ხალხის დაკვეთა. ხალხი არ უნდა ჩააყენო იმ მდგომარეობაში, რომ თავად დაამყაროს სამართლიანობა და წესრიგი. დღეს, ჩინოვნიკებს რომ აპატიმრებენ, მეცინება. შე დალოცვილო, კეზერაშვილი გყავს გაშვებული, გამართლებული, სააკაშვილის კორუფციაზე არ საუბრობ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ გიგა ბოკერია გყავს პარლამენტში. გამაგებინეთ, ამაზე დიდი კორუფცია როდის ყოფილა? უნდა შეიქმნას მათი დასჯის პრეცედენტი. მათ უნდა აეკრძალოთ პოლიტიკაში მოღვაწეობა და დანაშაულებების გამო ციხეში ჩაჯდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქვეყანას არაფერი ეშველება. გერმანია იმიტომ განვითარდა და შედგა როგორც ქვეყანა, რომ ყველა შემდგომმა ხელისუფლებამ იცოდა და იცის — რა მოჰყვა ფაშიზმს, რა ნაბიჯები გადაიდგა. ეს გასათვალისწინებელია. გერმანიამ ეს შეძლო და დღეს, ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა. ჩვენ, თუ ვერ შევძლებთ და ფაშიზმს ვერ დავამარცხებთ, ქვეყანას არაფერი ეშველება. ვიმეორებ, რეჟიმი უნდა გასამართლდეს.

— ხელისუფლება სააკაშვილის ექსტრადირებას ითხოვს, მაგრამ არცერთი ქვეყანა თანახმა არ არის სააკაშვილი გადმოგვცეს. ეს ხომ არ მიანიშნებს იმაზე, რომ მას რაღაც ძალა პატრონობს და ჩვენს ხელისუფლებას საშუალებას არ აძლევს მიშა ჩადენილი დანაშაულობებისთვის გასამართლდეს და არა პიჯაკების გამო?

— დიახ, სააკაშვილს დასავლეთისა თუ ჩრდილოეთის კრიმინალური კლანის მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეს, რომელიც მას დღეს ინარჩუნებს, რა თქმა უნდა, იგი, ახლა, ციხეში იჯდებოდა. კრიმინალები მთელს მსოფლიოში არიან ხელისუფლებაშიც და მის გარეთაც. მათ ინტერესებშია მიშამ პირი არ გააღოს, არ ილაპარაკოს რას და ვისთან ერთად აკეთებს. ამიტომ, ყველაფერს აკეთებენ, რომ სააკაშვილმა პასუხი არ აგოს. დღევანდელმა ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა, შემდეგი რამ უნდა გააკეთოს: ფართო საზოგადოებას, ასევე, მსოფლიოს გააგებინოს: როგორ დაფრინავდა და ლახავდა საზღვრებს ეს უპასპორტო, მოქალაქეობის არმქონე პირი; უნდა გამოაშკარავდეს რომელი ქვეყნის ხელისუფლება და რა მიმართულებით არღვევდა კანონს. ამის გამოვლინება რომ მოხდება, კრიმინალები სააკაშვილს ხელს ვეღარ დააფარებენ, რადგან ეცოდინებათ, რომ ისინი მხილებულნი არიან. შედეგად, სააკაშვილი სასამართლოს წინაშე წარსდგება და პასუხს აგებს. ასევე, ხელისუფლებამ უნდა გვითხრას: რა სტატუსით ხდებოდა სააკაშვილის მიწვევა ევროპასა და აშშ-ში. ამის გამოაშკარავება ძალიან სერიოზულად დაამუხრუჭებს იმ კრიმინალურ ძალებს, რომლებიც სააკაშვილის უკან დგანან და იმ სქემას გაამჟღავნებს, რომლის ნაწილიც იგი არის.

თამარ შველიძე
555 23 28 24

აქა ამბავი დიდი ფულის კეთებისა და საქართველოდან გაჟანილი 17 მილიარდი დოლარისა

„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ფაქტები, თუ როგორ აკეთებდა მიხეილ სააკაშვილის „სასტავი“ დიდ ფულს ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში და როგორ მოსხდნენ პოლიტიკური შულერები ხელისუფლებაში. ასევე გიამბეთ, თუ როგორ იყიდეს „ღატაკმა“ საა-კაშვილმა და მისმა „კაგებეშნიკ-მა“ ბიძამ, თემურ ალასანიამ ძვირადღირებული სახლები ნიუიორკში, ფლორიდაში, ბრუკლინსა და პარიზში. ამას უნდა დავუმატოთ მიწის ნაკვეთი კიევში და ასევე ძვირადღირებული სახლის აშენება ამავე მიწაზე. წინა წერილი შევწყვიტეთ იმ ადგილას, სადაც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყოფილი დირექტორი (2001–2003 წ.წ.) მაია ნიკოლეიშვილი გვიყვებოდა, თუ როგორ მიითვისა, გააკოტრა, გაყიდა ენერგოობიექტები და იშოვა მილიარდები საა-კაშვილის ბანდფორმირებამ მაშინ, როცა საქართველო ჯერ კიდევ ჩაბნელებული იყო. მოდით, სანამ სხვა თემაზე გადავალთ, **მაია ნიკოლეიშვილს** დავასრულებინოთ თავისი სათქმელი:

„დიახ, არსებობდა სახელმწიფო საწარმოები, ენერგეტიკის სფეროზე ვსაუბრობ, შემდეგ ეს საწარმოები კოტრდებოდა და გადადიოდა ამათ ხელში. ბოლოს უკვე ისე გავერკვიე საკითხში, წინასწარ ვიცოდი, რომელი უნდა გაკოტრებულიყო. ეს იყო ისე სწორად აწყობილი სქემა, გაოგნებული ვიყავი. ახლა ვხვდები, მაშინ შევარდნაძე შეაჩერეს. ჩვენ იქამდეც კი მივედით, რომ უამრავი ხელშეკრულება ვნახეთ უცხოელებთან დადებული და წარმოიდგინეთ, არსად არ იყო დაფიქსირებული, რომელ ფულად ერთეულში მიდიოდა ანგარიშსწორება – ლარში, დოლარში, მარკასა თუ ევროში. ვთქვათ, წერია 3 მილიონი, იქვე უწერია: „ეს თანხა მოცემულია პირობით ერთეულში“. ნამდვილი თანხები იყო დაშიფრული, მაგრამ გასაღები ვის ჰქონდა, ეს უკვე აღარ ვიცი. ამის შემდეგ ძალიან მალე დაიჭირეს დათო მირცხულავა... ის სწორედ იმიტომ ჩასვეს ციხეში, რომ ამ საქმეში ჩემზე მეტი იცოდა და გარეთ არ უნდა ყოფილიყო. როგორც კი ჯორბენაძის კაბინეტიდან გამოვედი, 4 დღეში გამიშვეს სამსახურიდან და როლანდ გილიგაშვილს ჩვენს მიერ დაწერილი დასკვნა აღარ გააქვს მთავრობის სხდომაზე. რაც მთავარია, ძალიან საინტერესო საქმე მიდიოდა დავით ბეჟუაშვილთან დაკავშირებით. ტომები გენპროკურატურაში ეწყო, საკმაოდ პრინციპულად იძიებდნენ და ეხებოდა ბუნებრივ აირს. იცით, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ რა აღმოჩნდა? საქართველოში შემოდიოდა გაზი, რომელიც გადიოდა სომხეთში, რაღაც პროცენტი აქ რჩებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში იყო აბსოლუტურად წამგებიანი. ამ შემთხვევაში ელემენტარულად კეთდებოდა ფული, ჩვენ ამას მივაგენით... მაგალითად, ყაზბეგის რაიონის სოფელ ჩმისამდე მოვიდა მილიონი კუბმეტრი გაზი, იქ დაფიქსირდა, მაგრამ შემდეგ რამდენი შევიდა სომხეთში, ეს უკვე გაურკვეველი რჩებოდა. დავით ბეჟუაშვილი მაშინვე დასაჭერი იყო. თუმცა იქამდე ჩვენ კი არა, გენპროკურატურაც აღარ მიუშვეს, ეს იყო სრულიად გასაიდუმლოებული. შემდგომში ეს თემა საერთოდ მოკვდა. დავით ბეჟუაშვილის საქმეზე 13 ტომი დაიდო, ჩვენ ამჟამად ვლაპარაკობთ მხოლოდ ერთ ეპიზოდზე. ამ საქმის გაგრძელება დღესაც გახსნიდა იმ უამრავ სქემას, რომლის საშუალებითაც ხდებოდა საწარმოების გაკოტრება, მითვისება და შემდეგ ფულის კეთება. ამ ყველაფერში ჩაბმულები იყვნენ „ნაციონალები“. მაშინ ზოგიერთის გვარი ჩემთვის არაფრისმთქმელი იყო. პირდაპირ ვთქვათ, მათ ჩაიდინეს ძალიან დიდი დანაშაული ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც გაგრძელდა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და გრძელდება დღესაც. ამათ მილიონები მზესუმზირის ფულად აქციეს, უკვე აღარ გვიკვირს, მაგრამ იმ პერიოდში 3–4 მილიონი ძალიან დიდი ფული იყო. მაშინ საქართველოს ბიუჯეტი იყო 300 მილიონი ლარი. მე თუ მკითხავენ, ეს საქმეები ხელახლაა შესასწავლი და აქ გამოჩნდება, რას ნიშნავდა ის დაშიფრული მილიონები, ვინ იდგნენ ამ ყველაფრის უკან და ვინ არიან ის უცხოელი ლობისტები. ბოლო-ბოლო, სად წავიდა უზარმაზარი თანხები, რომელიც უცხოეთიდან ირიცხებოდა და ენერგეტიკაში არავის უნახავს? ახლა იძახის მიშა, საქართველო ჩაბნელებული იყოო, კარგად გაიხსენოს, ვინ ანადგურებდა ამ სფეროს და ვინ იგდებდა ხელში ენერგეტიკას? დაინტერესდეს პროკურატურა, ჯერ-ჯერობით საერთაშორისო ხელ-

შეკრულებები მაინც არსებობს, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. ეს იყო მათთვის მოსამზადებელი სამუშაო, რათა უფრო ეფექტურად მოსულიყვნენ ხელისუფლებაში. საა-კაშვილი ცრუობს, ზუსტად მაგან დააბნელა საქართველო მიზანმიმართულად, ეს იყო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. ახლა ყველა ლობისტი დაგიდგება და დაგიწყებს: რატომ იჭერ ტელევიზიის შეფს, ეს ხომ პოლიტიკური დაჭერაა? რატომ იჭერ პატარა ხეთაგურს, მას ხომ არაფერი დაუშავებია? თუ ცოტა უფრო ღრმად წავა გამოძიება, საა-კაშვილი მუშტების ქნევას ვეღარ დაიწყებს. მე სრულიად შემთხვევით მოვხვდი ამ გაუგებრობაში, ანუ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, თორემ ამდენი ნამდვილად არ მეცოდინებოდა. მე მაშინ ბეჟუაშვილსაც შევხვდი პროკურატურაში, ზარანდიას კაბინეტში... მაიკო, რა გინდა ჩემგან, რას მერჩიო? არაფერს არ გერჩი, მხოლოდ სიმართლეს ვარკვევ-მეთქი. შენ რა გგონია, სარევიზიო ჯგუფებს ფულს არ სთავაზობდნენ? ძალიან დიდ ფულსაც სთავაზობდნენ, მაგრამ ბიჭები 42 ლარზე მუშაობდნენ, უკვე პრინციპის საკითხი იყო. კაბინეტში ვიმსჯელეთ, ჩვენ ჩვენსას ვუმტკიცებდით, სერიოზულზე სერიოზული ფაქტები დავდეთ. პრაქტიკულად უკვე სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნამდე მივიდა საქმე. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, ეს საქმე შევარდნაძემ შეწყვიტა დასავლეთიდან ზეწოლის შემდეგ. მე ძალიან კარგად მახსოვს, როგორ ამბობდა ერთ-ერთი უცხოელი მაღალჩინოსანი, ცოტა ხანში „შევის“ ბოლომდე გავუდებთო.

ეს მოხდა ჩემს კაბინეტში, ჩემს თვალწინ. ცოტა უზრდელი კაცი იყო ურთიერთობაში და ყველაფერს პირდაპირ ამბობდა. რასაც მიშა კანონიერ ქურდებზე იძახის, თვითონაც ზუსტად ასე იქცეოდა, საოცარი სქემები აამუშავა. არ დაგავიწყდეთ, სწორედ მაშინ მიდიოდა უამრავი დავა საერთაშორისო სასამართლოში, სადაც საქართველო ყველა პროცესს აგებდა. უცხოურ კომპანიებში, რომლებიც ჩიოდნენ, ქართველი ადვოკატები ისხდნენ. ისინი დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, უშუალოდ მიშას

გარემოცვიდან იღებდნენ დავალებებს. ძალიან ბევრი საჩივარი იყო ენერგეტიკაში, ყველაზე გემრიელი ლუკმა მაინც ეს იყო. ასევე დღის წესრიგში იდგა „ჭიათურმანგანუმის“ საკითხი, წიდის გატანა. აქაც დავიწყეთ შემოწმება და გაგვაჩერეს, რადგან წიდა საა-კაშვილის ხალხს გაჰქონდა. დამიჯერეთ, ესენი იყვნენ შემსრულებლები, ამათ უცხოეთში ჰყავდათ ვიღაც უფრო დიდი, ეს ფაქტია. როლანდ გილიგაშვილი თითქოს შევარდნაძის მხარეს იყო, მაგრამ მაინც სხვა თამაში მიდიოდა. წარმოიდგინეთ, სანამ სამსახურიდან გამომიშვებდნენ, იყო მცდელობა, რომ ვიღაცას საერთოდ გავენადგურებინე. ფაქტს გეტყვით: ერთ დღეს მეუბნებიან, 800 ათასი დოლარი კრედიტი აიღე, ლაბორატორია შემოვიტანეთ ამერიკიდან, კონტეინერები ადგილზეაო. მე მოვითხოვე ოფიციალური დოკუმენტი, რომ კონტეინერებში ნამდვილად ლაბორატორია იყო. არა, დალუქულია და ვერ გავხსნითო. მაშინ დოკუმენტაცია მანახეთ-მეთქი. ეგეც შიგნით დევსო. რა თქმა უნდა, კრედიტი არ ავიღე და შემდგომში ამ კონტეინერებში აღმოჩნდა დაჟანგული სკამები. 800 ათასი დოლარი სხვა რაღაცაში სჭირდებოდათ. ახლა პირველად ვამბობ ამას, უკვე ვხვდებოდი, რომ სადღაც უბედურებაში მითრევდნენ და უკვე მინდოდა, ჩქარა გავეთავისუფლებინე. ბოლოს ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ამეღო, ამას მიხვდა ჯორბენაძეც და ეგრევე გამაჩერეს. ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ აღარაფერი მიკვირს, მეც შემთხვევით ვარ გადარჩენილი... აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ჟვანია შევიდა იმ სფეროებში, სადაც არ უნდა შესულიყო. მან გაარღვია უზარმაზარი მაფიოზური სქემა და ჩაიხედა. აქვე იყო ბათუმის სანაოსნოს თემა... პირდაპირ გეტყვით, იქ გივი თარგამაძეს ჰქონდა ინტერესები. ის ეჯახებოდა შევარდნაძის ნათესავების ინტერესებს. ეს საქმეებიც ჩვენთან იდო. ეს არ არის კერძო დოკუმენტები, ეს არის სახელმწიფო დონეზე გაკეთებული კვლევები. სხვათა შორის, ძალიან იოლია საა-კაშვილის სქემებში ჩასვლა, სადაც ყველაფერი გარკვეულია, გვარები და სახელები წერია, ობშორებში დარეგისტრირებული კომპანიებიც გაშიფრულია. თუ ამას ყურადღება არ მიექცა, ღმერთმა ნუ ქნას, შეიძლება ძალიან ცუდად შემოგვიტრიალდეს. ეს არის ძალიან დიდი ქსელი, ძალიან დიდი საშიშროება“.

შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ე.წ. რეფორმატორებმა ხელის ერთი დაკვრით გააცამტვერეს საქართველოს ენერგოსიტემა, მიამასქნეს, რუსებს გადაულოცეს და ამით დასრულ-

და. სამწუხაროდ, მილიარდების კეთება შემდგომშიც გაგრძელდა და თანაც უკვე ოფიციალურად. შემდეგი ფულის საკეთებელი „ცეხი", საიდანაც „ნაციონალებმა" და მათმა ლიდერმა მაგრად იხეირეს, გახლდათ ეროვნული ზარაფხანა და კაზრეთის ოქროს საბადო. ამოცანა გვეკითხება: საინტერესოა, როგორ ჩაიგდო ხელში ქართული ოქრო რუსულმა მაფიამ ხელში და როგორ გამდიდრდნენ ამ მაფიის წევრი ე.წ. ქართველები? ამაზე პასუხს ეროვნული ზარაფხანის ყოფილი დირექტორი, ყოფილი პარლამენტარი **დათო ლორთქიფანიძე** იძლევა:

„მე ზარაფხანის დირექტორად მივედი 2000 წელს. იმ დროს ქვეყანაში ტრიალებდა დიდძალი აღურიცხავი ოქრო, ყველაფერი გადასული იყო შავ ბიზნესში. მე შევარდნაძეს არაერთხელ მივწერე, ის ავალებდა სახელმწიფო მინისტრებს, შინაგან საქმეთა მინისტრს, მაგრამ ამ საქმეს სახელმწიფო დონეზე რატომ გააკონტროლებდნენ, როცა ძალოვნები აქედან იკვებებოდნენ? შევარდნაძე ისეთ რეზოლუციებს აწერდა ჩემს წერილებს, ახლა რომ ნახოთ, იტირებთ, ყველას მოუწოდებდა, ამ საწარმოს გვერდში დავუდგეთო. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დავიწყეთ მუშაობა. მოგეხსენებათ, ოქროს ნაკეთობას სჭირდება ბრილიანტი და სხვა სახის მასალები. მაგალითად, საბაჟოზე ამ წლებში დაფიქსირებული არ იყო, ვინმეს რამე თუ შემოჰქონდა. არადა, ბევრს ახსოვს, ოქროს რამდენი ბირჟა არსებობდა. მოხდა ე.წ. ვარდების რევოლუცია და ჩავთვალე, რომ აი, მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელიც ამ კონტრაბანდასაც მიხედავს და ყველაფერს

დაალაგებს ქვეყანაში-მეთქი. აქ ერთი პრობლემა იყო, ჩვენ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში არ გვაძლევდნენ კვარციტის საბადოების გამოყენების უფლებას. დღევანდელ „მადნეულზეა" საუბარი. იმჟამად ამ საბადოებს აკონტროლებდა ეკონომიკის სამინისტრო და ვინაიდან ჩვენ სახელმწიფო ორგანიზაცია ვიყავით, ვითხოვდით ოქროს წარმოების უფლებას. შეგვეძლო, თვეში დაახლოებით 10 კილოგრამი ოქრო ამოგვეღო. ამ შემთხვევაში საზღვარგარეთ აღარ შევიძენდით, საბაჟოზე გადასახადი აღარ გვექნებოდა და პროდუქცია გაიაფდებოდა. შევარდნაძის ხელისუფლება ამისი სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ როცა სააკაშვილი მოვიდა, ბუნებრივია, ეს საკითხიც დავაყენეთ. ამათ კი ეგრევე დაიწყეს ბუნებრივი სიმდიდრეების გადაცემა რუსებისთვის, საქართველოში რეაქტიული სისწრაფით შემოდიოდა რუსული სახელმწიფო ბიზნესი, ანუ კრემლის მიერ კონტროლირებადი ბიზნესი, „კვარციტი" ხელში ჩაიგდო გენერალოვის ჯგუფმა. აქ აშკარად ჩანდა კახა ბენდუქიძის ინტერესები. შეიძლება ბევრს არ ახსოვს, სააკაშვილმა პირველი დიდი ბიზნეს-ფორუმი ჩაატარა 2004 წლის მაისში და თბილისში რუს ბიზნესმენებს უმასპინძლა. მათ შორის იყო ჩამოსული ბენდუქიძე, რომელიც აცხადებდა, მზად ვარ, საქართველოს სამსახურში ჩავდგეო. ამის შემდეგ ის დატოვეს ეკონომიკის მინისტრად და პირველივე მისი განცხადება იყო: „ყველაფერს გავყიდით სინდისის გარდა"! მოგვიანებით ვნახეთ, რომ ყველაფერი გაყიდა სინდისთან ერთად. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბენდუქიძის ინტერესის სფეროში აღმოჩნდა ეროვნული ზარაფხანაც. იმის ნაცვლად, რომ მხარში დაგვდგომოდა, 2004 წლის ივლისში გამოსცა ბრძანება და მოგვაყოლა პრივატიზაციის ნუსხაში. იმ პერიოდში, კანონის მიხედვით, იმ ორგანიზაციების გაყიდვა არ შეიძლებოდა, სადაც იყო ოქროს მარაგები. მე ჩავთვალე, რომ ბენდუქიძე შეცდა და ამის შესახებ ჟურნალისტებს განვუცხადე. ეს რომ გაიგო, ძალიან არ მოეწონა და დაიწყო ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ. სხვათა შორის, ჩვენ სტრუქტურულად შევდიოდით საწარმოთა მართვის სააგენტოში და ეკონომიკის მინისტრს არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. ეროვნულ ზარაფხანაში არსებობდა სამეთვალყურეო საბჭო და სწორედ იქიდან შეეცადნენ სიტუაციის არევას, რომლის პირველი ინიციატორი გახლდათ მაია ნადირაძის მეუღლე, ზურაბ ჩიკვილაძე. ეს ადამიანი რიგითი წევრი იყო, მაგრამ როგორც კი მისიანები მოვიდნენ ხელისუფლებაში, უკვე იგრძნო ძალა და მხარდაჭერა, კოლექტივში დაიწყო ინტრიგების ხლართვა, მერე იჩივლა კონტროლის პალატაში და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში მაინც არაფერი არ გამოუვიდა, პირიქით, კოლექტივის რისხვა დაიმსახურა. დავიწყეთ აქციები, ვითხოვდით სააკაშვილთან შეხვედრას. ამ დროს ისევ გამოდის ტელევიზიით ბენდუქიძე და იძახის, სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელებს ახლა გაახსენდათ, რომ ხელმძღვანელები არიან, მილიონები რომ იშოვეს, მაგაზე მაშინ უნდა ეფიქრათო და დამასახელა მე, ოთხი წელია დირექტორია და იქაურობა გააპარტახაო. ეს იყო ჩაფიქრებული ნაბიჯი, ერთხელ ფოთში იყო ჩასული, კატერში იჯდა და იქიდან დამემუქრა, ლორთქიფანიძეს ვაჩვენებ, ეგ იქნება თუ მე ვიქნებიო. ამათ უკვე დაწყებული ჰქონდათ დაჭერები და ფულის ახევები. აშკარად მემუქრებოდნენ, დაგიჭერთო, მაგრამ მაინც არ გავჩერებულვარ, ბენდუქიძეს იქით ვუჩივლე სასამართლოში პატივისა და ღირსების შელახვისთვის. სასამართლომ უარი მითხრა სარჩელის განხილვაზე იმ მოტივით, რომ ვერ დაადგინეს ბენდუქიძის საცხოვრებელი ადგილი, უწყებას ვერ ვაგზავნითო. ის მაშინ ცხოვრობდა სასტუმრო „მარიოტში" და იყო ეკონომიკის მინისტრი. ამის შემდეგ სამეთვალყურეო საბჭო დაითხოვეს და მოიყვანეს თავმჯდომარედ ოთარ სირაძე, რომელმაც შეასრულა ბენდუქიძის დავალება, საწარმო თითქოს მოამზადა პრივატიზაციისთვის. ამ დროს ტელეფონზე მირეკავს ვიღაც კაცი, რომელიც მეუბნება, რომ ის არის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი, გვარსა და სახელსაც მეუბნებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, მოგონილი იყო, გადავამოწმე კიდეც. შენთან ბენდუქიძის დავალებით ვრეკავ, ყველაფერი ზურაბ ჟვანიასთან არის შეთანხმებული, მე ვიცი, რომ პრობლემები გაქვს ხელისუფლებასთან, თუ ერთ-ერთ საბანკო ანგარიშზე გადარიცხავ 100 ათას დოლარს, ყველა პრობლემა მოგეხსნება და კახაც თავს დაგანებებს, თუ ამას არ გააკეთებ, რაც „ომეგას" დაემართა, შენც იგივე დაგემართებაო. ეს ყველაფერი კასეტაზეა ჩაწერილი, პროკურატურასაც წარვუდგინე, სისხლის სა-



მართლის საქმეც აღიძრა, მცნეს დაზარალებულად და აღნიშნული საქმე რატომღაც გადაუგზავნეს ნაძალადევის რაიონის პოლიციას. იქ იყო გამომძიებელი ქალბატონი, ფოცხვერაშვილი, რომელმაც რამოდენიმეჯერ დამკითხა და ბოლოს „დაადგინა", რომ ჩემთან შემოსულ ზარებში არ არსებობდა მსგავსი ნომერი, რა დროც მე მქონდა მითითებული, მაშინ ჩემთან საერთოდ არ იყო დარეკილი. არადა, ტიპი მთელი ერთი თვე მირეკავდა. ამის შემდეგ იძულებული გავხდი, მიმემართა ეუთოს მისიის ხელმძღვანელისთვის და ამერიკის ელჩისთვის, ყველას ავუხსენი, რა ზეწოლის ქვეშ ვყავდი ხელისუფლებას და მოვითხოვე პოლიტიკური თავშესაფარი. რეაქცია იყო ნული, მაშინ ეგენი ძალიან იყვნენ ჩახუტებულები სააკაშვილთან. მივმართე პროკურატურას, თავად სააკაშვილს, შიმშილობას გამოვაცხადებ-მეთქი. აქეთ მაბრალებდნენ, შენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიდიხარო, მაგრამ მე ბენდუქიძეს ვეწინააღმდეგებოდი. ამასობაში გავედი შვებულებაში, ვიფიქრე, ცოტა დავწყნარდები-მეთქი და ამ დროს მიიყვანეს ზარაფხანაში სხვა დირექტორი, ანუ თავიანთი კაცი. კოლექტივმა ეს ადამიანი არ შეუშვა საწარმოში, მაგრამ მერე სპეცრაზმის დახმარებით შეცვივდნენ, გადახტნენ ღობეებზე, იქ დაცვას ძაღლი ჰყავდა, რომელიც მოკლეს და ასე დასვეს კაბინეტში დირექტორი, ვინმე კაკი რამიშვილი. აქ უნდა ჩაკეტილყო წრე, „კვარციტი", „მადნეული" უკვე იყო გენერალოვისა და ბენდუქიძის, ჩამოიყვანეს რუსეთიდან კობა ნაყოფია... კარგად მახსოვს თბილისში მისი პირველი გამოჩენა. გაღლეტილი იყო. ისე ეცვა, ფულიანობისა მაგას არაფერი ეტყობოდა. გენერალოვი რუსეთის უშიშროების ყოფილი თანამშრომელი გახლდათ, ნაყოფიას რაღაც ურთიერთობები ჰქონდა და ბენდუქიძემ ჩამოიყვანა. ამ ადამიანმა სასწრაფოდ შექმნა შპს „ფონდ-ინვესტი", რომლის საწესდებო კაპიტალი იყო 2 ათასი ლარი და დაარეგისტრირა თავისი ბინის მისამართზე, არაყიშვილის ქუჩაზე. ამათ შეკრეს წრე – ოქროც ხელში ჩაიგდეს და საწარმოც. ბოლოს იქამდეც მივიდნენ, ოქროზე კონტროლი საერთოდ გააუქმეს, უცხოეთიდან შემოტანილი ოქროს ხარისხის შემოწმება საჭირო არ არისო. არადა, ამ საქმეში ცნობილი მაღაზიები იყვნენ ჩართულები. გარდა ამისა, ეს საწარმო იყო განთავსებული 26 ჰექტარზე და ეს მიწა არ გახლდათ დარეგისტრირებული ზარაფხანაზე. წარმოგიდგენიათ, 26 ჰექტარი მიწა დიღომში რა მსუყე ლუკმაა? მე მინდოდა, ეს საწარმოს ბალანსზე გადამეფორმებინა, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. ამის შემდეგ ეს უცნობი „ბიზნესმენი" ნაყოფია გახდა მილიონერი, ხან იმ ფილმის პროდიუსერად მოგვევლინა, რომელიც არავის სჭირდება, მოგვიანებით კი რატომღაც ხდება მაჟორიტარი დეპუტატი. ზარაფხანა ვითომ მესამე პირზე გადაყიდეს, როგორც იციან ხოლმე, აქ გააჩინეს კეთილსინდისიერი მყიდველი, რომ ვეღარ მოედავო".

ენერგეტიკა, ოქროს უზალთუნები, შენობა-ნაგებობები, სტრატეგიული ობიექტები, მიწის მსუყე ნაკვეთები, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ? ეს ყველაფერი სააკაშვილის ბანდამ მიისაკუთრა და იქიდან მილიარდები ამოიღო. ათასობით და ასი ათასობით ნაკვეთი თუ შენობა გასხვისდა სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. ეს ისე, ოფიციალურად, თორემ 1 ლარად მყიდველები დიდ ფულს იხდიდნენ სააკაშვილ-ალასანიას ე.წ. ფონდში, ანუ ჯიბეში. ხომ არ გეცოტავებათ, ძვირფასო მკითხველებო? თუ გეცოტავებათ, მაშინ შეგახსენებთ, რომ ყველა დიდი თუ პატარა ბაზრობის მოვაჭრე ვალდებული იყო, ყოველთვიურად გადაეხადა 500-ლარიანი ჯარიმა. ოღონდ არავინ იცოდა, რა ჯარიმას იხდიდნენ, უბრალოდ თვის ბოლოს რიგები იდგა ხოლმე, თან ერთმანეთს ეხვეწებოდნენ, გამატარე, მეჩქარებაო. ბოლო დროს რამდენიმე კეთილისმყოფელმა შენიშვნა მომცა, შენს სტატიებში ძალიან ბევრი გინებაა, თავს თუ შეიკავებ, კარგი იქნებაო. აბა, მითხარით, როცა სააკაშვილ-ალასანიების „მოღვაწეობის" პერიოდს გაიხსენებ, თავი როგორ უნდა შეიკავო, მე ამათი კეთილები მოვსტ...ან?!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მე თუ მკითხავთ, ევროპის ქვეყნებიდან და უკრაინიდან საქართველოს ელჩები კინწისკვრით არიან გამოსაყრელნი

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებას?

— ზელენსკიმ, როცა მან სააკაშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილება მიიღო, კარგად იცოდა როგორ შეხვდებოდა ამას ოფიციალური თბილისი. ეს მოულიდნელი არ იყო. შეიძლება ბევრმა არ მიაქცია ყურადღება, მაგრამ პირველ და მეორე ტურებს შორის, ზელენსკიმ ერთი განცხადება გააკეთა — დადებითად შეაფასა სააკაშვილის როგორც რეფორმატორის როლი და თქვა: ეს ადამიანი დასაკარგი არ არის და უნდა გამოვიყენოთო. ამას მოჰყვა ის, რაც მოჰყვა. აქ, უკრაინისათვის, ფიგურალურად რომ ვთქვათ, სასწორზე იდო ორი რამ: საქართველოსთან კარ-

გი ურთიერთობა ან სააკაშვილი. ზელენსკიმ სააკაშვილთან კარგი ურთიერთობა არჩია. ე.ი. მან მიშას მომდურებას, ოფიციალური თბილისის მომდურება არჩია, რაც უკვე სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში გადავიდა. როგორც ჩანს, ქართულმა დიპლომატიამ — უკრაინაში საქართველოს საელჩომ ვერ იმუშავა. საქართველოს ელჩს უნდა გაეფრთხილებინა ზელენსკი: თუ თქვენ სააკაშვილთან ურთიერთობას აღადგენთ, ეს თბილისსა და კიევს შორის ურთიერთობას არ წაადგება, ამით საქართველო-უკრაინის მეგობრობა გაფუჭდებაო. ჩემთვის, ეს არის მნიშვნელოვანი. გარდა ამისა, აბსოლუტურად, აუხსნელია ერთი რამ: პუტინი არც ზელენსკის გულშემატკივარი არ არის და მით უმეტეს, მიშასი, მაგრამ უკრაინის პრეზიდენტს მანაც ურჩია: შემოუშვი მიშა და მოქალაქეობა აღუდგინეო. რატომ? — პუტინმა უკვე იცის, რომ სააკაშვილი ზელენსკისთვის შეიძლება პრობლემად, დამატებით თავსატეხად იქცეს?! ამიტომ, ეს ძალიან რთული თემაა. საქართველოს ელჩი უკრაინაში გელა დუმბაძე ჩვენი დიპლომატიური აკადემიის სტუდენტი იყო. არ ვიცით, აწვდის კი იგი რაიმე დახურულ ინფორმაციას თბილისს? ქართულ საელჩოს ძალიან ახლო ურთიერთობები უნდა ჰქონდეს ზელენსკის გუნდის წევრებთან. აღსანიშნავია, რომ ზელენსკი, რუსეთთან მიმართებაში, სულ უფრო და უფრო თამამ განცხადებებს აკეთებს. მან, ახლახან, ამერიკელი სენატორი მიიღო და თქვა: ჩვენ, რუსეთთან ორი ფრონტი გვაქვს — ერთი დომბასში და მეორე — კორუფციასთან ბრძოლაო. როგორც ჩანს, ტრამპის ფენომენი მეორდება. რუსეთი ტრამპის გაპრეზიდენტებას აღფრთოვანებული შეხვდა, მაგრამ მერე რაც მიიღეს ყველამ ვნახეთ. „ქართული ოცნების" ადგილას კიევში ჩვენს საელჩოს სულ სხვა ჭრილში ავამუშავებდი. არ შეიძლება საელჩო ასე დაუინტერესებელი მეთვალყურის როლში იყოს. ახლო მომავალში უკრაინაში არჩევნები იქნება. სააკაშვილი უკვე ემზადება მონაწილეობის მისაღებად. იგი უკვე უკრაინის მოქალაქეა, პარტიაც გააჩნია. თავად ზელენსკის ფაქტორმა მიშას კიდევ ერთი რამ დაანახა: უკრაინაში პოპულიზმი მუშაობს. სხვაგვარად, ზელენსკი 73%-ს ვერ მიიღებდა. მიშა კი სწორედ ამის დიდოსტატია.

7-8 წელიწადია, რაც სააკაშვილი უცხოეთშია და აქ, მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესები მიმდინარეობს? — დემოკრატიულ ევროპაში სააკაშვილის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების ნამდვილობა და სამართლიანობა ნაკლებად აინტერესებთ. მათ, მხოლოდ ერთი რამ აინტერესებთ, რომ სააკაშვილი რეფორმატორი იყო. კარგი იყო ეს რეფორმები თუ ცუდი, ამას მათთვის მნიშვნელობა არ აქვს. საელჩო ევროპის ყველა ქვეყანაში გვაქვს. მე რომ მკითხოთ, ჩვენი ელჩები იქედან უნდა გაყარო. იცით რატომ? — იმიტომ, რომ მათ რვა წელი ჰქონდათ იმისთვის, რომ ევროპაში მიშას რეპუტაცია გაენულებინათ და ამ კუთხით ვერაფერი გააკეთეს. მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებაც: ზელენსკის მთავარი, არაფორმალური მრჩეველი და სპონსორი ოლიგარქი იგორ კოლომოისკი გახლავთ, რომელიც მიშასთან მტრულ ურთიერთობაშია. მას, მიშა, ბანდიტს, ქურდს ეძახდა და მის რეპრესიებსაც შეუწყო ხელი. დღეს, კოლომოისკი დაივიწყებს პირად წყენას? — თუ პოლიტიკოსია უნდა დაივიწყოს. პოლიტიკოსებს შორის პირადული ფაქტორი არ არსებობს. ამიტომ, რაც უფრო გაძლიერდება უკრაინაში მიშას პოზიციები, მით უფრო მეტი ღია თუ ფარული მომხრეები გაუჩნდება მას საქართველოში და პირიქით. 2020 წლის არჩევნებზე

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ახლახან, ზვიად ძიძიგურს ვუსმენდი. მან თქვა: თუ ჩვენ საქართველოში 2020 წლამდე რეალობა არ შევცვალეთ, მაშინ არჩევნებს ვერ მოვიგებთო. ხომ ვიცით, რომ პრაქტიკულად, შეუძლებელია აქ, წელიწადნახევარში სოციალური ფონი შეცვალო. მაშინ რა გამოდის, ზვიად ძიძიგურმა თქვა, რომ ჩვენ არჩევნებს წავაგებთო?! არა, ეს გამორიცხულია, ვერ წააგებენ იმიტომ, რომ გამარჯვებული აუცილებლად რევანშზე იფიქრებს. თუ სააკაშვილი უკრაინაში გაძლიერდა, 2020 წლისთვის, მიშას მოსვლით დაშინების მეთოდს, აუცილებლად გამოიყენებენ. თავად სააკაშვილი, ხანდახან, ისეთ რაღაცას ამბობს, რაც დიპლომატიურ ჭრილში, წესით, არ უნდა თქვას — თბილისში ჩამოვალო. როგორ ჩამოვა, მასზე ხომ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული? ე.ი. გადატრიალებას, შეთქმულებას აწყობს?

— თქვენ აღნიშნეთ, თუ სააკაშვილი რადაში მოვა, სხვა სურათს მივიღებთო. რა შეიცვლება, რა საფრთხე გაჩნდება საქართველოსთვის?

— თუ მიშამ რადაში შესვლა მოახერხა, უკრაინელების დამოკიდებულება ქართველებისადმი შეიცვლება. თუმცა, არ არის გამორიცხული სხვა გზით წავიდეს და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში ზელენსკის არაოფიციალური მრჩეველი გახდეს. მიშას აქვს ეს რეპუტაცია — კორუფციასთან მებრძოლი. ევროპელების თვალში, მიშამ, საქართველოში კორუფცია დაამარცხა. აღარ აქვს ამას მნიშვნელობა — ეს სიმართლეა თუ არა, მთავარია, რომ ევროპას და უკრაინასაც ასე სჯერათ.

— მიშას უკრაინაში ქვეყნის ღალატში დასდეს ბრალი და გააძევეს. თქვენ აღნიშნეთ, ზელენსკიმ ოფიციალურ თბილისს სააკაშვილთან ურთიერთობა აირჩიაო. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გარკვეული ძალები, რომლებიც მსოფლიოზე ბატონობენ, მას ზურგს უმაგრებენ?

— მიშას უკან თუ რაიმე ძალები დგას, ეს ძალიან მაღალპროფესიული ძალებია იმიტომ, რომ არ ჩანან, ძნელად შესამჩნევია. აშკარაა, სააკაშვილს ფინანსები არ უჭირს: თავისუფლად გადაადგილდება ევროპაში, აწყობს ემიგრანტებთან შეხვედრებს, აშშ-ში ჭაჭის ქარხანა გახსნა და ა.შ. მას სპონსორები ჰყავს. გარდა ამისა, მას ჰყავს ძალიან ძვირადღირებული მრჩეველი — ბიძა თემურ ალასანია. იგი, როგორც მრჩეველი, ოქროს ფასად ღირს. ალასანიას ძალიან ძლიერი კავშირები აქვს აშშ-ში. ამიტომ, რასაკვირველია, რაღაც ძალა მიშას უკან დგას, მაგრამ არ ჩანს ან ჩვენ ამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მიშა უკვე აღარ არის „პერსონა ნონ გრატა". აქედან გამომდინარე, „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტებიც, უკვე, აღარ იქნებიან „პერსონა ნონ გრატა". ამ სატელევიზიო არხზე, ალბათ, ყოველდღიურად იქნება კიევიდან რეპორტაჟები. არ გამიკვირდება „რუსთავი-2"-მა თავისი ჟურნალისტური ბიურო კიევშიც გახსნას, რითაც მიშას საქართველოს მოსახლეობაზე პროპაგანდის უნიკალური შანსი ეძლევა.

— სააკაშვილი იმ დანაშაულობებისთვის რომ გაგვესამართლებინა რაც მან რეალურად ჩაიდინა, მაშინ ხომ სულ სხვა სურათს მივიღებდით?

— რასაკვირველია. სანამ სააკაშვილი ქვეყანას დატოვებდა მანამდე უნდა შემდგარიყო სასამართლო პროცესი და გასამართლებულიყო. მაგრამ ვინც გაასამართლეს, ავიღოთ, თუნდაც ახალაია, ეს ლოგიკას ექვემდებარებოდა? — ვაშლს თლიდა და დანა ჩამარტყაო ანდა, ბოდიში თქვენთან, პანჩური ამომარტყაო — ეს არის გასასამართლებელი მიზეზი, სხვა არაფერი?! საკითხავია: მოსამართლეები ისევ მიშას მომხრეები იყვნენ და განგებ გამოჰქონდათ ასეთი კურიოზული სარჩელები თუ არაპროფესიონალები იყვნენ? პროკურორმა რომელმაც თქვა: მიშა უნდა გასამართლდეს იმიტომ, რომ ექვსი კოსტუმი იყიდაო, ის ან საერთოდ არაპროფესიონალია, ან შეგნებული პროვოკატორი, მისი მომხრეა. ამის შემდეგ ევროპას ველარაფერში დააჯერებ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სანდრას ცრემლები

პოლიტიკური ნოველა

სანდრამ ტაშტში ამოფუებული ცომი კიდევ ერთხელ გადაზილა, მაგიდაზე გუნდებად ამოალაგა. ერთი ცალი საფანელში ამოგანგლა და ბოთლით დაიწყო გაბრტყელება. ამას წინებზე უნდოდა სპეციალური გასაბრტყელებლის ყიდვა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, ფული ვერ გაიმეტა, თანაც ისეთი სიმბოლური ფასი ღირდა (41 ლარი), ამ ციფრის დანახვაზე გააჟრიალა, პირდაპირ გაჰბურძგლა. არადა, როგორ უყვარს ხაჭაპურის ცხობა. გუშინ მიშამ დაურეკა, არჩევნები ხომ წააგე, ზუგდიდში რაღას ზიხარო? რას ჰქვია, რაღას ზის? ახლა სოფელ-სოფელ უნდა იაროს, ყველა ოჯახის კარი შეაღოს და თითოეული ადამიანი დაარწმუნოს, რომ მისი სახით საქმე აქვთ აღმშენებლობასთან, ევროპასთან, თანამედროვეობასთან, საქართველოს გაბრწყინებასთან. ჰმ... წააგეო. კი არ წაგო, გაუყალბეს, თორემ როგორც გიორგი ვაშაძემ ბრძანა, სამეგრელოს კაშკაშა ვარსკვლავს წინ ვინ დაუდგებოდა? ახლა კი ის მზად არის, ბიძინა ივანიშვილს ტყვიით შუბლი გაუხვრიტოს. ის მზად არის, იარაღი აიღოს ხელში. როგორც ჩანს, ქართველი ქაჯები კარგად არ იცნობენ, ვინც იცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ ამაზე წამსვლელია.

სანდრამ ცომში ყველი ჩადო, ხელახლა დაიწყო გაბრტყელება და კვლავ ფიქრებში ჩაიძირა: ჰო, მიშამ დაურეკა, დედაშენთან წადიო, ჰოლანდიაშიო. მაგან არც კი იცის, რომ დედა უპატრონოთა სახლში ჩააბარა. ეს კიდე დადის აღმა-დაღმა, მსოფლიოს გათავისუფლების მეტი არაღაფერი აინტერესებს, აიჩემებია, დედამიწა უნდა ვიხსნა გველეშაპებისგანო, ანუ ოლიგარქებისგანო. ნუ, ესმის, რომ იდეა მშვენიერია, ზუსტადაც მიშამ უნდა გააკეთოს ეს საქმე, მაგრამ არის კი თანამედროვე კაცობრიობა ამისთვის მზად? მიშა ოცდამეორე საუკუნის ადამიანია, მის აზროვნებას დღეს ვერავინ სწვდება, მაგრამ მოვა დრო და დააფასებენ.

სანდრამ ხაჭაპური ტაფაზე ფაქიზად დადო, გვერდები თითებით კიდევ ერთხელ შემოუკოპწიავა და გაზქურა აანთო. ისე, ამას წინებზე საცხობი ღუმელის ყიდვაც უნდოდა, მაგრამ ფასს რომ დახედა, პირკატა ეცა – სად აქვს უბრალო ღუმელში გადასაყრელი ფული? ჰმ... მიშამ ფლორიდაში სახლი იყიდა, მილიონები გადაიხადა, საქართველოდან 17 მილიარდი კი აქვს გატანილი, მაგრამ 17 მილიარდს ტაფის ფული რომ გამოაკლდეს, ხომ აღარ იქნება 17 მილიარდი? თურმე გასაღებსაც მიმალავენ ოჯახის წევრები... არა, კი დაუმალეს ფლორიდის სახლის გასაღები, მაგრამ რა ამათი ტრაკის საქმეა? მიშამ იხუმრა... უფრო სწორად, ბიძია თემურის მეუღლემ იხუმრა. სხვათა შორის, ჩანაწერი რომ გაბაზრდა, თვითონაც დაურეკა ქეთევანს, რეიზა მიწოდე, დეიდავ თუ მამიდავ, „იძიოტკაო“? არა, შენ შემოგევლოს დეიდა-მამიდა, მე და თემური დოსტოევსკის „იძიოტს“ ვარჩევდით, სწორედ მაგ დროს ჩაგვწერეს და დაგვიმონტაჟეს, ფალსიფიკაცია გვიყვესო. სანდრას ეჭვის ჭია კი შეუჩნდა ალალ გულში, მაგრამ მაინც დაიჯერა, რომ ქეთევანი და თემური დოსტოევსკის ნაწარმოებებს არჩევდნენ.

სანდრამ ხაჭაპური გადმოაბრუნა ტაფაში, ცალი მხარე სასიამოვნოდ აყვითლებულიყო. უჯიშო ქართველების გამო მარტო ხაჭაპურის ცხობა კი არა, მეგრული სიმღერაც ისწავლა, მაგრამ რათ გინდა? საქმე საქმეზე რომ მიდგება, ისევ ივანიშვილს ემორჩილებიან. ამ ზვიად გამსახურდიას ქვრივმაც კარგად მოუშალა ნერვები, სულ კახპა და ჩამოთრეული ეძახა. აქაც აჯობა საცხელტყვიე ბიძინამ, გავარდა ხიბულაში და აქ ზვიადის მუზეუმი უნდა გავაკეთოო, მოიგო მისი ოჯახის გული. ნეტა არაფერი დაეწერა თავის წიგნში გამსახურდიაზე, ნეტა ვინ აძალებდა? უბრალოდ მიშას აქვს ალერგია, ვერ იტანს, პირველი პრეზიდენტი მე ვარ, მეო, – ერთი-ორჯერ ძილშიც კი წამოიყვირა. ესეც ადგა და დაწერა, ზვიადი ყაჩაღი იყოო. ვერ გათვალა, რომ დადგებოდა დრო და მისი სახელი დასჭირდებოდა. ეეეჰ, ხანდახან დიდ ადამიანებსაც მოსდით შეცდომები. მოიცა, თითქოს კარზე კაკუნია.

– რომელი ხარ, ბეჩა? – გასძახა სანდრამ.

– ცისნამი ვარ, სანდრა, მეზობელი! – გაისმა კარს იქიდან.

– აააა, ცისნამი, შემოი, ქალო, რას გაბოტილხარ მეგი გოცირიძესავით?

– შემოვალ, აპა, არ შემოვალ? – დაკრიჭა კბილები ცისნამმა.

– რაია, რამ შეგაწუხა ამ შუაღამეზე? – ჰკითხა სანდრამ და გავარვარებული ტაფიდან ხაჭაპური ამოაგდო ალაზნის ლოქოსავით.

– ყოჩაღ, გოგო, ეგეთ ხაჭაპურებს მეგრელი ქალებიც კი ვერ აცხობენ! – ენა მოითაფლა ცისნამმა.

– მერე, მე არ ვარ მეგრელი თუ? – ირონიულად შეხედა სანდრამ.

– თუმცა ჰო, გოგო, შენ ხომ საქართველოზე ხარ დაქორწინებული?

– მერე, გესმით ამდენი ქართველებს?

– მე მესმის, ჩემო დაია, ვისაც არ ესმის კიდე დეეცეს მეხი შტერ თავზე!

– არ გინდათ კაი ცხოვრება და მე რა გიყოთ?

– გვინდა, რავა არ გვინდა, მარა ჩვენ ვინ რას გვეკითხება? მოავჯდა ამ ქვეყანას ოლიგარქი ივანიშვილი და ქე უპირობს გადაყლაპვას. ერთი რა მაგის პასუხია, დაია, რაცხას უბნობენ ხალხში და ნეტა თუ მართალია. არა, მე ვერ ვიჯერებ, მარა მოკვტა ხალხი ცნობისმოყვარეობით, – დაიწყო ჯღანობა ცისნამმა.

– რაიო, სანდრა მფატრავია, ადამიანებს ორგანოებს აჭრიდაო, ხომ?

– არა, გოგო, ეგ ხომ ძველია... ისაო, მიშამ ამერიკაში ძაან მდიდრული სახლი იყიდა და სანდრას გასაღები დოუმალესო.

– გასაღები დოუმალესო? – მოწკურა თვალები სანდრამ.

– აპაააა... მიშას ბიძამ დოუმალა თავის მეუღლე ქეთევანთან შეთანხმებით და თავის დასთან, გიულისთან მოლაპარაკებითო. თუმცა მიშასაც სცოდნია ეს ამბავიო, – გაასავსავა ხელები ცისნამმა.

– მერედა ვის სჭირდება მაგათი „ჩერდაკის“ გასაღები?! – ვეღარ დამალა აღშფოთება სანდრამ.

– რა ვიცი, შე ქალო, რა გჭირს სამაგისო? თურმე თემური ალასანია ისე დაცემულა ზნეობრივად, დადის და იძახის, სანდრას მშობლები წუწკები არიან, მომადგებიან ხოლმე ნიუიორკში, დამიყრიან ნაგავს და მერე დამლაგებელი გვის ერთი კვირაო, აღარ შემიძლიაო, სასტუმროში წავიყვანე, 100 დოლარი არ გადაიხადესო, დეენანათო, – დაასხა ცეცხლზე ნავთი ცისნამმა.

– პარიზის სახლის გასაღები მე მაქვს, ბრუკლინისაც...

– პარიზი და ბრუკლინი? – დააჭყიტა თვალები ცისნამმა.

– უი, არა, ეგ ისე ვთქვი, რა პარიზი? – შეცბა სანდრა, სახეზე ალმური მოედო, ისევ დაიწყო ცომის გაბრტყელება.

– ღმერთმა მოგცეთ, ჩემო სანდრა, რავა, მიშა საკაშვილს ერთიორი სახლი არ უნდა ჰქონდეს ამერიკაში და გინდაც პარიზში? კაცი ამდონ ხანს პრეზიდენტი იყო, აღარ ეკუთვნის?! – გამოაკეთა სიტუაცია ცისნამმა.

– მაპატიე, მიშა მირეკავს... ჰო, მიშა, რაფერ ხარ?

– რაფერ ვარ და... ხიიიიხ... გამოქლიავებულმა ზელენსკიმ მომცა! – გაისმა ტელეფონში ხითხითი.

– რა მოგცა?

– ერთთვიანი მოქალაქეობა, ხიიიიხ!

– ერთთვიანი რაღა იყო, ერთწლიანი მაინც მოეცა... ნუ, მაინც გილოცავ, იმედია, ახლა მაინც მომცემ ფლორიდის სახლის გასაღებს.

– ჰოდა, ვაჩვენებ მაგ „იძიოტს“ ერთთვიანს ერთ თვეში!

– უიმე, რა ნაცნობი ლექსიკაა?

– კაი, რა, სანდრა, ხო იცი, ბიცოლა მაგარი „იძიოტკაა“, არ გეწყინოს, მოგცემ გასაღებს, აბა, რას ვიზამ? აწი მე უკრაინაში უნდა ვიცხოვრო, მკიდია ფლორიდაც და ბრუკლინიც, ხიიიიხ!

– ჰიჰ, რა იოლად ლაპარაკობ? – ვერ დამალა უკმაყოფილება სანდრამ.

– კიევში როდის ჩამოხვალ?

– რა მინდა კიევში? მე სამეგრელოს უნდა მივხედო, ხალხს ჩემი იმედი აქვს, მოსახლეობა გმინავს ივანიშვილის უღელქვეშ!

– ოჰხხხ... ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყანა... რომ შემეძლოს, ამ წუთასვე ჩამოვფრინდებოდი და ივანიშვილს შუბლს გავუხვრეტდი სრულიად უფასოდ, არც თემო ძიას მილიონი მინდა და არც არაფერი... როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი იტყოდა, აგრე არ არი თაყაო, შენ რო მამული გაჰყავო!

– მიშა, ეგ ბარათაშვილმა კი არა, ჩეხოვმა თქვა, – მიუგო ირონიულად სანდრამ.

– იიიიიხხხხ... რა მნიშვნელობა აქ, ვინ თქვა, ხო მაგარია? პირდაპირ მბურძგლავს, ტანში ჟრუანტელი მივლის, ჩემი მამულ-დედული და მოსა...ყლეობა მეცოდება, მტკივა, მაწუხებს, მაბრუალებს, გესმის?!

– ნუ მატირებ, მიშა, – ამოიკვნესა სანდრამ.

– იტირე, გულო... იტირე, სულო!

– ოოოო, იცი, როგორ მინდა, რომ ახლა შენთან ვიყო კიევში?

– ჩამოდი მერე, რა პრობლემაა?

– გამოგიტყდები... არც კი ვიცი, როგორ გითხრა.

– მითხარი!

– ფული არ მაქვს.

– ჰოოო... არც მე მაქვს, სულ ორიოდე გრივნაღა შემომრჩა ჯიბეზე... დამპალ გვარამიას დაურეკე, ფულის მეტი რა აქვს?

– დავურეკე, არ მაქვსო, ვალებში ვიხრჩობიო, დილას ხუთი ლარი ნანუკა ჟორჟოლიანს გამოვართვიო.

– წარმოგიდგენია?

– ჰოოო, ეგრე მითხრა... ეტყობა, ეგ მე არ მიცნობს და ვინც მიცნობს, კარგად იცის, რომ წუწკობას ვანანებ!

– კარგი, მივდგები, მოვდგები... ბოლო-ბოლო, იულიას ვთხოვ გზის ფულს და გამოგიგზავნი... სანდრა, მოდი, ვიმღეროთ.

– რა ვიმღეროთ?

– ჟუჟუნა წვიმა მოიდაااა...

– დიდი მინდორი დანამااااა...

– ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვااااს...

– გული გაუპოს დანამااااა... სანდრა, არ გათიშო, რა, თავიდან დავიწყოთ... არა, თავიდან კი არა, გული რომ უნდა გაუპოს დანამა, ის გავიმეოროთ, გულის გაპობა მომწონს ძალიან!

– კარგი რა, მიშა, დავიტანჯე, სულ ვტირი და ვტირი, მეტი აღარ შემიძლია!

– არა რა, გთხოვ, გეაჯები, ვიმღეროთ... ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვااااს... გული გაუპოს დანამაა... დანამااა... დანამااა!

ტუუუ... ტუუუ... ტუუუ... სანდრამ ტელეფონი გათიშა. ცისნამი კუთხეში მიმჯდარიყო და ტიროდა, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოისდიოდა. ტაფაზე ხაჭაპური ცხვებოდა. გარეთ წვიმდა... გეგონება ბუნებამაც იგრძნო და ისიც ატირდა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ლადო კახაძე:

ამ ხნის კაცი ვარ, უფრო ცოტა დრო დამრჩა ცხოვრების, ვიდრე ვიცხოვრე, ამიტომ მთაწმინდელების წინაშე თავის შერცხვენას არ ვაპირებ და ყველაფერს ვიღონებ, რომ დანაპირები პირნათლად შევასრულო

გვესაუბრება „ქართული ოცნების“ მაჟორიტაროვბის კანდიდატი მთაწმინდის რაიონში, ლადო კახაძე



– 1998 წლის გაზაფხულზე ორი მეგობარი მეწვია. მათ ჩემი წარსულიც იცოდნენ და ჩემი მაშინდელი მოღვაწეობაც. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ხარ, ბევრი საქმის ნოვატორი, ავტორიტეტული ადამიანი.

ევროსაბჭომ საქართველოს წინაადება შესთავაზა, თვითმმართველობის ინსტიტუცია დანერგეთ და განავითარეთო და შენი დახმარებაა საჭიროო.

ზვიად გამსახურდიას, ამ გენიოს კაცს, თვითმმართველობის საკითხები გათვლილი და განსაზღვრული ჰქონდა 90-იანი წლების დასაწყისშივე – პრეფექტურები და მსგავსი თვითმმართველური მოდელი საქართველოში დავნერგოთო, თუმცა მერე მოხდა უბედურებები და ჩაწყდა ეს ხაზი.

მოკლედ, ჩემმა მეგობრებმა მთხოვეს, გვინდა შენც ჩაერთო თვითმმართველობის მოდელის ამოქმედებაში. დაიწყე ადგილობრივი ხელისუფლე-

ბის პრობლემების შესწავლა, საკითხთა დიფერენცირება, ნორმატიული აქტების რეგულირება, თავისუფლებას მოგცემთ, ძირითად პროფესიულ საქმიანობაში ხელს არ შეგიშლითო. ბევრი ვიკამათეთ მაშინ და 1998 წელს მე პირველად მივიღე მონაწილეობა თვითმმართველობის არჩევნებში.

თუმცა საკანონმდებლო სივრცეში ჩემი რეალიზაციის სურვილი უფრო ადრე გაჩნდა. 1994 წლის ბოლოს მე ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი, რომელსაც ერქვა „საქართველოს ოჯახთა აღორძინების კავშირი“. მწვავედ იდგა მაშინ დემოგრაფიული საკითხები. გარდამავალ პერიოდში იყო ქვეყანა, ომი და შიდა დაპირისპირება გვქონდა გადატანილი. მე მსურდა საკანონმდებლო სივრცეში მაშინდელი რეალობა ისე ასახულიყო, რომ შეგვძლებოდა დავხმარებოდით მრავალშვილიან დედებს, გენოფონდს და გამოგვეკვეთა სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ საქმეში.

მოკლედ, მე დავთანხმდი ჩემს მეგობრებს იმ პირობით, რომ ვთხოვე, მოეტანათ ყველა ნორმატიული აქტი, კარგად შევისწავლი-მეთქი.

ჩავეძიე ყველაფერს, განვიხილე ამერიკის, ნორვეგიის, საფრანგეთის გამოცდილებები თვითმმართველობის საკითხებში და აღმოჩნდა, რომ თვითმმართველობა იყო ანატომიური ორგანო, ავტონომიური ფუნქციებით, როგორც გული, კუჭი, საშვილოსნო.

მერე მოხდა ისე, რომ მე საკრებულოს თავმჯდომარე გავხდი 1998 წლის ბოლოს.

საქმე ისაა, რომ, რაც მეტად გაერკვევი საკითხში, მით მეტად ჩათრევა იცის. ჩავუღრმავდი ადგილზე პრობლემების მოგვარების თემებს და გადავაწყდი ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწერილ კანონს. მომიხდა კანონქვემდებარე აქტების რეალიზაცია. აღმოჩნდა, რომ დადგენილი კანონი პირდაპირ, ადგილზე, ეფექტური არ იყო.

ამასობაში თვითმმართველობების ასოციაციის პრეზიდენტი გავხდი. ამასთან დაკავშირებით, გამოცდილების შესასწავლად, გერმანიაში და ამერიკაში გავემგზავრე. ჩემი ინტერესი იყო, რას ვისწავლიდი მათგან, რა გამოგვადგებოდა ჩვენ, საქართველოში, და მივედი ერთ საინტერესო დასკვნამდე, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩვენი წინაპრების გენიალურობაში — თვითმმართველ ორგანოდ დამტკიცებული ჰქონდათ ოჯახი.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ საქართველო იმსახურებს ძლიერ თვითმმართველობას. მაგრამ რას უნდა ეფუძნებოდეს ეს ძლიერი თვითმმართველობა?

1) დეცენტრალიზაციას;

2) დელეგირებას;

3) დეკონცენტრაციას.

ეს უკვე ფილოსოფიაა, რომელიც, პრაქტიკულად, უნდა გადაიტანო პოლიტიკურ ველზე, ეკონომიკის სფეროში და ა. შ. და ა. შ.

დავიწყეთ მუშაობა.

საკრებულოში მაშინ 55 დეპუტატი იყო. თავდაუზოგავად ვმუშაობდით. შევეხეთ უამრავ საკითხს. კერძოდ, ურბანულ საკითხს, რეკრეაციას, ქალაქდაგეგმარებას, თვითმმართველობის დელეგირებისა და დეკონცენტრაციის საკითხებს, ქალაქ თბილისის ზონირებას და სხვა და სხვა. ჩვენ გვერდით თბილისის საკრებულოში შესანიშნავი ადამიანები მოღვაწეობდნენ – გიგა ბათიაშვილი, რომელსაც არ ესწავლება ურბანისტიკა, ახალი კონტაქტები დავამყარეთ მშენებლობის სამინისტროსთან – მერაბ ჩხენკელი ამოგვიდგა მხარში და სხვებიც, შესანიშნავი ადამიანები.

იმ ხანებში ამოიწურა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც 1969–2000 წლებით იყო განსაზღვრული. ქალაქი რჩებოდა ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე. იძულებული გავხდით, დროებითი რეგლამენტი მიგვეღო, რომ ქალაქის განაშენიანების საკითხები დაგვერეგულირებინა. აქვე ვიტყვი, რომ **K1** და **K2** სივრცითი კოეფიციენტები ჩემი ხელმოწერილი გახლავთ. მერე გავიდა დრო, ჩვენ დავტოვეთ საკრებულო, მოვიდა სხვა ხელმძღვანელობა.

არავის არაფერში ვადანაშაულებ, მაგრამ რაზეც გული მტკივა, იმას აღვნიშნავ: კოეფიციენტი **K2**, რომელიც ურბანული ქსოვილის დაცვის კოეფიციენტია და შენობა-ნაგებობების აშენებისას გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა ექვემდებარებოდეს, რათა ქალაქი არ დამახინჯდეს, წინა ხელისუფლების დროს ვაჭრობის საგნად იქცა – თუ ფულს გადაიხდიდი ამ კოეფიციენტის გამოსყიდვა იყო შესაძლებელი...

ჩვენი მოღვაწეობის პერიოდიდან ჩანასახში დავტოვეთ სასწრაფო გადაუდებელი სამსახური.ისედაც მინიმალური ბიუჯეტით, საკრებულო ფიქრობდა, ხელმოკლე ადამიანების მხარში დგომაზე და შევქმენით ქალაქის ურგენული, გადაუდებელი სამსახური, რომელიც ფინანსდებოდა 1000-მდე გამოძახებისთვის. გვქონდა სოციალური პროექტები, რომლებიც გულისხმობდა ურგენულ დახმარებას, როგორც მოზარდებისთვის, ისე ბავშვებისთვის.

20 წელიწადი გადის თითქმის, თუმცა დღესაც პრობლემაა და არ არსებობს კანონი ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ.

ახლა ისტორიული მემკვიდრეობის სახლები არის ჩემი უპირველესი პრობლემა მთაწმინდაზე. მოქალაქე პირველად რასაც ითხოვს, ეს არის სურვილი, იცხოვროს უსაფრთხო გარემოში.

თუ ნორმატიული აქტი მოაწესრიგებს ისტორიული კუთვნილების საკითხებს, მაშინ ქალაქის გადარჩენისა და განვითარების ფონდი, ცენტრალური ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი, საინვესტიციო გარემო, ინდივიდუალურ მესაკუთრეთა შემოწირულობანი, ამ საქმის გადარჩენა-რესტავრაცია-რეაბილიტირებასა და უსაფრთხო ზონაში მოხვედრას განაპირობებს და იქ ცხოვრება იქნება უსაფრთხო. დავუშვათ, თუ სახლს არ ეკუთვნის სტატუსი, მაშინ მოუხსნი ამ სტატუსს და გაუთავისუფლებ ველს ამხანაგობებს, ინვესტიციებსა და ა. შ. და საქმეც გაკეთდება. მოგეხსენებათ, მე ხშირი შეხვედრები მაქვს მთაწმინდის მოსახლეობასთან და ამ საკითხებთან დაკავშირებით სრული კონსენსუსი გვაქვს.

– როგორ ფიქრობთ, რატომ მოვიდა ეს პრობლემა დღემდე, რატომ ვერ მოხერხდა ამ საკითხების გადაჭრა? მთაწმინდა ხომ თბილისის ერთ-ერთი მამოძრავებელი რგოლია, არადა, ყველაზე მეტად დაჩაგრული გახლავთ, თუნდაც საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, ამორტიზებულია საცხოვრებელი შენობები, მოუწესრიგებელია კომუნიკაციები და ა. შ. მთაწმინდელები კი მუდამ ითმენენ და ითმენენ. მგონი, საშველი უნდა დაადგეს ამ უბანს.

– ეს ჩემი საწუხარია. მე მაქვს ნათელი მაგალითი, როგორ შეიძლება „სიძველისადმი გრძნობა-პატივი, თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს“, ისევე დარჩეს მიმზიდველად, როგორადაც ის იყო სოსო გრიშაშვილის მუზა.

უკვე გაიხსნა ორბელიანის მოედანი და ყველამ ვნახეთ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რა რუდუნებით შექმნა და გაამშვენიერა იგი. მოედანმა მიიღო ისეთი ლამაზი სახე, რომ ის აუცილებლად გადაიქცევა ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად. მოედნის ქვემოთ

ულტრათანამედროვე ავტოსადგომი გაკეთდა 250 ავტომანქანისთვის. იგივენაირად მოეწყო გუდიაშვილის მოედანი. გეგმაშია სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა, რომლის რეაბილიტაცია მალე დაიწყება. საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს ასათიანის ქუჩაზე, ინგოროყვას ქუჩაზე და ა. შ. დღეს კი ჩემი ამოცანაა, შესასრულებელ საქმესა და პირობას შორის მანძილი დავამოკლო.

— კვლავ თქვენს პოლიტიკაში გადასვლას მივუბრუნდები. საზოგადოებას პოლიტიკაზე ცუდი წარმოდგენა აქვს — პოლიტიკა ბინძური საქმეა, პოლიტიკოსი კი აუცილებლად „ცუდი კაცი“ უნდა იყოს, ვაცლავ ჰაველი კი ამბობდა: პოლიტიკა ზნეობრივად სპეტაკი ადამიანების საქმეაო. თქვენ, როგორც ღირსეული პიროვნება, ალბათ, არ ილაპარაკებთ, კონკურენტზე უარყოფით კონტექსტში, მაგრამ ადამიანი, რომელიც არღვევს უმთავრესს, თუნდაც ვაჟა-ფშაველას მიერ ჩამოყალიბებულ ფორმულირებას — „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“ და იმის გვერდით დგება, ვისგანაც ადრე იცავდა დაჩაგრულ ადამიანებს და ახლა მთაწმინდელებს ეუბნება, ამირჩიეთ, ხმა მომეცითო. თვით ამის განცხადებაც კი შეურაცხყოფაა არა მხოლოდ მთაწმინდის, არამედ მთელი ქალაქის.

— დროა, ყველამ გაიგოს, რომ პოლიტიკაა არაა ბინძური საქმე.

ბებიაჩემი მეგრელი იყო, ჯიჯიხიას ქალი, სიტყვის პატივმიმგებელი, ნაკითხი და გონიერი. ასე იცოდა ჩემი დარიგება: ონჯღორე ვაძირა (სირცხვილი არ ჭამო), რადგან, სადაც არ უნდა ვიყო, იმ სირცხვილის გასინჯვა მეც მომიწევსო. ჩემზე იფიქრე, ჩვენზე ყველაზე იფიქრეო.

როდესაც გავიგე ბატონი შალვა შავგულიძის გადაწყვეტილების შესახებ, ჯერ მეგონა, ვინმემ ძალა დაატანა-მეთქი, მაგრამ მერე თვითონ თქვა: მე გადავდგი ეს ნაბიჯიო. ძალიან მეწყინა. სიმართლე გითხრათ, გული ჩამწყდა და ვუთხარი ეს კიდევაც.

წინა რეჟიმმა ძალიან დააზარალა ხელისუფლების სამივე შტო, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო, ამიტომ, როცა პოლიტიკა ბინძურიაო, იტყვი და ყველაფერს ამით გაამართლებ, არ გამოვა, არ იქნები სწორი.

დღევანდელი ცივილიზაცია ძალიან კარგად იყენებს იდიომას: რასაც არ კრძალავს კანონი — დასაშვებია ყველაფერი. სენეკამ 2000 წლის წინ თქვა: რასაც არ კრძალავს კანონი, კრძალავს წესიერებაო. კანონმა არაწესიერი ქმედების უფლებაც, რომ მოგცეს შენმა წესიერებამ უნდა შეგაჩეროს.

მე მასწავლიდა უდიდესი ადამიანი, ბატონი ავლიპ ზურაბაშვილი. მან თქვა: თითქოსდა, ერთი ნაბიჯია საფეხურზე და მაინც შეუძლებელი კაცობრიობისთვის — ჰომო-საპიენსი — გონიერი ადამიანი და ჰომო-მორალეს — ზნეობრივი ადამიანი, თითქოს ერთი ნაბიჯი იყო და კაცობრიობამ ნაბიჯი ჰომო-მორალესისკენ ჯერ კიდევ ვერ გადადგაო. ამ თემებზე საუბარს თუ დაიწყებ, კაი, ნუ ფილოსოფოსობო, გეტყვიან და ვინ გეტყვის ამას? — დემაგოგი, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ამ მსჯელობაში დამარცხდება. ასეთი ადამიანების ნავსაყუდელი აღმოჩნდა, სამწუხაროდ, პოლიტიკა მსოფლიოში და ფიქრობენ, პოლიტიკა ჩამოწერს ყველაფერს, მაგრამ ასე არ ყოფილა, ბებიაჩემს თუ დავუჯერებთ. სირცხვილი და შეცდომა იმქვეყნად გაყვება კაცს. რამდენი ვიცით ისტორიული ფიგურა, რომელიც იმით გვახსოვს, რომ ცუდი გააკეთა.

— ერი თვითონ წერს საკუთარი ცხოვრების ეროვნულ კონსტიტუციას, არადა, ამ კონსტიტუციას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაწერეს და დღემდე მოვიდა, ვიღაცები მიზანმიმართულად ანგრევენ.

— დიახ, ეს პრობლემაა და ამ სატკივარის სამკურნალოდ უნდა მოუხმო სამ რამეს. პირველი — ათი მცნება, მეორე — დაუწერელი კანონები, მესამე — ადათი და ტრადიციები. ყოველივე ეს არის დაცვა, შენი, როგორც ინდივიდის და როგორც ღვთის შვილის.

უფალი, როცა ადამიანს ბადებს, ორ რამეს ჩუქნის — სიცოცხლეს და ნიჭს, დანარჩენი ყველაფერი უნდა მოიპოვო. სიცოცხლე ფასობს მისი გამოყენების ხარისხით. სიცოცხლე არის გამოყენებითი ხელოვნება და რად ღირს სიცოცხლე, თუ არ გამოიყენე. ხომ გახსოვთ, „არც კაცი ვარგა, რომ, ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“. თანაც, „ონჯღორე ვაძირა“-ც არ უნდა დაგავიწყდეს — სირცხვილი არ უნდა ჭამო. მე მაინც ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში წამყვანი როლი უკავია მის აღზრდას, ოჯახში არსებულ სიტუაციას.

საზოგადოდ, სიცოცხლის გაგრძელების სამი გზა არსებობს: სპორადიული, ვეგეტატიური და სქესობრივი. ადამიანი მრავლდება მხოლოდ სქესობრივი გზით. დედამიწაზე მყოფ სხვა სულიერ და უსულო არსებებს შორის განსაკუთრებულად. სიცოცხლის შემქმნელი პირველწყარო არის ქალი და მისი კდემამოსილებისა და სილამაზის შემფასებელი, მორალურად პატივმიმგებელი მამაკაცი.

ქალი და კაცი თანასწორი ვერასდროს ვერ იქნება, ქალი უფრო მაღლა დგას და იმიტომ.

თანამედროვე ცივილიზაციას უნდა, რომ ქალი სიმაღლიდან დაბლა ჩამოიყვანოს — ჩასვას ტანკში, თვითმფრინავით ქალაქები დააბომბინოს, მისცეს იარაღი, არადა, ამისთვის არ არის ქალი გაჩენილი. იგი არის საბუდარი, საიდანაც სიცოცხლე მოედინება. ქალის ორგანიზმში უნდა იარსებოს ჩანასახმა 280 დღე, რომ ბრძოლისუნარიანად დაიბადოს დედამიწაზე და მერე აღზარდოს ისეთი ადამიანი, „სირცხვილი რომ არ ჭამოს“. ეს არის ის, რის წინაღმდეგაც მიდიან, რადგან ყველამ კარგად ვიცით, რომ ორი ერთნაირი სქესი არ მრავლდება. თუ ორი სქესი ერთად იქნება, ეს ამოწყვეტის გზა არის. ამ სტიგმების მოხსნა არის სიკვდილის გზაზე შეპატიჟება.

ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ბატონ ბიძინა ივანიშვილზე. არასდროს არ გამიკეთებია მის საქმიანობაზე კომენტარი, თვითონაც არ უყვარს, როცა მასზე ლაპარაკობენ, მაგრამ, რაც ამ ადამიანმა გააკეთა, ეს იყო უდიდესი რამ და ამაზე ვერ გავჩუმდები. მაგალითად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გახლდათ ჟანგბადის ბალიში მოსახლეობისთვის. 400 000-მდე ადამიანს სახელმწიფო ისე დაეხმარა, რომ მისი არც ღირსება შელახულა და არც თავმოყვარეობა, მეტიც, სიცოცხლე და ოჯახი შეუნარჩუნდა ხალხს.

ერთ-ერთი ჩემი შეთავაზება არის ამ პროექტის სრულყოფა. იცის ეს ჩემმა გუნდმა, ჩემმა ოჯახმა — „ქართულმა ოცნებამ“.

ის თანადაფინანსების პროექტები, ზოგიერთი 50%-იანი, ზოგი — 70–90%-იანი, მე შევთავაზე და მივიღე ამაზე თანხმობა.

მე სოციალური სფეროს წარმომადგენელი გახლავართ, ექიმი და ვაპირებ, კომიტეტის სხდომაზე ეს საკითხები განვავრცო. დარწმუნებული ვარ, მხარდაჭერილი იქნება, იმიტომ, რომ ადამიანს როცა სახელმწიფო ფორმა 100-ის საშუალებით თავის პროექტში მოგაქცევს, დამატებითი სახსრების მოძებნა არ უნდა სჭირდებოდეს. თუ თანადგომაა, თანადგომა იყოს, მადლს მარილიც მოვაყაროთ. ვიცი, ყველაფერი რისკებთან არის დაკავშირებული, მატერიალურ ცდუნებასთანაც, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, ჩემი სამეგობრო წრე, სამედიცინო სფეროდან, დამეხმარება და ამ საკითხს დადებითად გადავჭრით.

— კონტროლის მექანიზმები მაინც უნდა გაძლიერდეს!

— ხომ ხედავთ, ისევ წესიერებასთან მივედით. მექანიზმები აუცილებელია. ერთ ამბავს გავიხსენებ. მეფემ თავის ქვეშევრდომებს უბრძანა, შესანახად ღვინოს ვაგროვებო და უზარმაზარი ქვევრის გავსება დაავალა. ყველა ქვეშევრდომს თითო ხრიკა ღვინო უნდა მოეტანა, ამ ქვევრში ჩაესხა და ასე გაევსოთ ის. ქვევრი რომ გაავსეს, მეფემ თქვა: აბა, გავსინჯოთ, რა ღვინოს ვინახავთ ქვევრშიო. ამოიღეს ორშიმოთი სითხე, რომელიც წყალი აღმოჩნდა. ყველას ცალ-ცალკე უფიქრია: ჩემი ერთი ხრიკა წყალი ამდენ ღვინოს არ გააფუჭებსო და, ფაქტობრივად, ყველას წყალი ჩაუსხამს ქვევრში. ესაა მორალი. ჩვენი პასუხისმგებლობა კი უნდა გაიზარდოს, რადგან საქართველო ჩვენია, ჩვენი ქვეყანაა.

ვიცი, რომ დანახარჯები გაიზრდება. სარისკო დანახარჯებიც დიდი იქნება, მაგრამ სულ ვფიქრობ, პროექტში მონაწილე და არამონაწილე ადამიანები, პაციენტები, არაკეთილსინდისიერი მედიკოსები გაჩნდებიან, მაგრამ დაცვის მექანიზმი ბიუჯეტის თანხების უყაირათო ხარჯვაზე უნდა იქნას ორიენტირებული.

მაგალითად, საპენსიო ასაკის ადამიანებს სააფთიაქო დახმარება უნდა გავუუმჯობესოთ, რომ მინიმალურ, სიმბოლურ ფასად ან უფასოდ მივცეთ საჭირო მედიკამენტები. ეს ჩემი შეთავაზება იქნება, თქვენი მონა-მორჩილისგან. ეს არის უკვე დარეგულირებული სამინისტროსთან, კომიტეტთან და ა. შ. ჩემი შესვლით პარლამენტში კიდევ ერთი ხმა ემატება ამ კეთილი იდეის განხორციელებას. ვლობირებ თემას, რომ სადაზღვევო კომპანიებმა რეგულაციები შეამსუბუქონ და საკონკურენციო ველი გაფართოვდეს.

ახლა წამოვიდა ტენდენცია, არავის დაპირებას და არავის სიტყვას არ ენდოთ: მასწავლებელს არ ენდოთ, ექიმს არ ენდოთ, ჟურნალისტს არ ენდოთ, საზოგადოება მოწამლულია პირდაპირ. სადაა გამოსავალი? — ერთმანეთის ნუგეში უნდა შევძლოთ, ერთმანეთი უნდა გავაძლიეროთ, ყოველივე ამას შესანიშნავად აკეთებს დღეს ჩვენი ეკლესია. თუმცა იმასაც უტევენ.

საზოგადოდ, სამ რამეს უტევენ საქართველოში — ოჯახს, სარწმუნოებასა და ტრადიციებს. სამწუხაროდ, ეს შეტევები უცხო ძალებისგან არის დაფინანსებული. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გაგვტეხავენ.

ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიაში“ ამბობს: ამდენ სარეველას როგორ მოვერევითო? — ჩვენი წილი, სადაც ხელი მიგვწვდება, ის უნდა გავმარგლოთო, თავად პასუხობს. ამიტომ, სადაც მივა ადამიანი, პოლიტიკაში, კულტურაში თუ სპორტში, ყველგან თავისი საკეთებელი საქმე უნდა აკეთოს.

— ბოლოს, რას ეტყვით მთაწმინდელებს?

— პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს, შეხვედრების დროს ასეთი დიდი ტკივილი რომ უდევთ გულში და მაინც კორექტულად რომ გველაპარაკებიან. ეს დიდი იმედია. ეს ნიშნავს: კაცს სტკივა და გეუბნება: მე მჯერა, რომ გადამარჩენ. ამაზე მეტი მე არაფერი მინდა. მეორე, ვეყრდნობი მათ გამოცდილებას. მე არავინ ვიქნები მათი ზურგის გარეშე, იმიტომ, რომ მათ მშვენივრად იციან, თუ მათ სატკივარს სადმე გავაჟღერებ, ეს იქნება მათი სიტყვები, ამიტომაც როცა რჩევა დამჭირდება, ისე ადვილად მივალ ჩემს ამომრჩევლებთან ოჯახებში, როგორც საკუთარ ნათესავებთან. ამის დასტური იყო ჩემი შეხვედრები მათთან. პირველი ტურის დროსაც და ახლაც.

პირობის დადება არ მიყვარს, რადგან ექიმი უპირობო რეფლექსების მსახურია. მაგრამ ვაპირებ ვიყო მათი მსახური, სადაც მეტყვიან, რომელ სფეროშიც, რომ იქ ვიყო მათი წარმომადგენელი.

დიდი მადლობა იმ გუნდს, სადაც ვიმყოფები, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მადლობა „ქართული ოცნების“ ლიდერებს, ულირსად რომ არ მოექცნენ უღირს ადამიანებს...

მე შენება, მშვიდობა, თაობების შეკავშირება მინდა. ამ ხნის კაცი ვარ, უფრო ცოტა დრო დამრჩა ცხოვრების, ვიდრე ვიცხოვრე, ამიტომ მთაწმინდელების წინაშე თავის შერცხვენას არ ვაპირებ და რითიც დავიწყე, იმით დავამთავრებ — სირცხვილნაჭამობის გარეშე მინდა დავასრულო ჩემი ცხოვრება, ამიტომ, მთაწმინდელების ნდობა მომცემს იმის საშუალებას, რომ რაღაც გავაკეთო და ამ გაკეთებულით ვიამაყოთ მეც და თქვენც ერთად. მე მინდა ვთქვა: ეს გავაკეთე არა მე, არამედ მთაწმინდის მოსახლეობამ, იმ ოჯახმა — პარტიამ, რომლის წევრი ვარ მე, ეს გავაკეთეთ ჩვენ ერთად!

ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ!

— გმადლობთ შინაარსიანი საუბრისთვის. წარმატებებს და გამარჯვებას გისურვებთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დაკარგულების პოვნის დღესასწაული უკრაინაში

მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის აღდგენასა და მიხო-გაძევებულის უკრაინაში დაბრუნებას, რუსულმა მედიამ დაკარგულების პოვნის დღესასწაული უწოდა. დაკარგულების იმიტომ, რომ სააკაშვილის დაბრუნების დღეს იპოვეს, უკრაინის პრეზიდენტის რეზიდენციიდან გამქრალი სკამები, გარდა ამისა, ერთი წელი შესრულებულა, რაც უკრაინას შეხიზნული ვითომდა რუსული სპეცსამსახურების მიერ „მოკლული“ ჟურნალისტი ანდრეი ბაბჩენკო „მკვდრეთით აღდგა“. ქართველი „ვარდოსნები“ და უკრაინელი „მაიდნელები“, „ნარინჯოვანელების“ განსჯისგან თავს შევიკავებთ, წყლის ორი წვეთივით გვანან ერთმანეთს, მათ შორის, უნიჭო სპექტაკლების დადგმაში. ეს არც არის გასაკვირი, მათ ხომ ერთი „მშობელი“ ყავთ სოროსისა და ოკეანისგაღმელი დემოკრატების სახით. სკამებს ვინღა ჩივის, როცა უკრაინის უშიშროების საბჭოს ახალ მდივანმა აღმოაჩინა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიული ცენტრის ოფისიდან, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციაში განთავსებული, გამქრალი იყო ორი უზარმაზარი მონიტორი და სერვერები სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაციებით. ისრაელის დაზვერვის სამსახურის ექს-შეფის, ცნობილი ექსპერტ-ანალიტიკოსის **იაკობ კედმის** განცხადებით, მომხდარი არ უკვირს, იმ ქვეყანაში, როგორადაც გადააქციეს უკრაინა „მაიდნელებმა“, ნათურები და სერვერების სტელაჟები რომ დატოვეს, ამაზეც მადლობა უნდა თქვანო. სკამები კი იპოვეს, მაგრამ მონიტორ-სერვერების ადგილსამყოფელს ჯერ ვერ მიაკვლიეს. ალბათ გეცნოთ დემოკრატიის სახელით ხელისუფლების სათავეში მოსულთა, პოსტსახელისუფლებო „ხელწერა“. ნაცებმაც ზუსტად ასე არ გაზიდეს ტექნიკა-ინფორმაცია ყველა უწყებიდან, მათ შორის სასჯელაღსრულების სისტემიდან, რომელსაც „ჰუმანისტი“, ნაომბუდსმენარი გიორგი ტუღუში ხელმძღვანელობდა. დაბრუნებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პოროშენკოს მიერ ხელსგაყოლებული ინფორმაციებიც ალბათ ისევე ამოყვინთავს, როგორც ნაციონალების მიერ საქართველოდან გატანილი. ეს მასალები საჯაროც რომ არ გახდეს, ისედაც „წარმატებით“ იყენებენ პოზიცია-ოპოზიციის თუ უფლებადამცველ-ჟურნალისტების დასაშანტაჟებლად ნაცები თუ მათი პატრონები, იგივე მოხდება უკრაინის შემთხვევაშიც.

რაც შეეხება სააკაშვილის „მეორედ მოსვლას“ უკრაინაში, რომელსაც კოლექტიური ნაცების აღფრთოვანებული ჭყლოპინი მოყვა, რა „ჩინს“ მიანიჭებს უკრაინის ახლადარჩეული პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი თავის კოლეგას ფართო გაგებით, დრო გვიჩვენებს. მოგეხსენებათ ზელენსკი პროფესიონალი კომიკოსია, ხოლო სააკაშვილი მსოფლიო დონის კლოუნადაა შერაცხული, ასე რომ, ყველა ასპექტში კოლეგები არიან ზელენსკი და სააკაშვილი. ჭკუასაკითხავი ხალხი და არამარტო საქართველოში, უკვე ხმამაღლა საუბრობენ, რომ „მაოხრებელი გზირი“ სააკაშვილი უკრაინის საბოლოოდ დასაშლელად შეაგზავნეს იქ. დაიჭერს თუ არა ზელენსკი პოროშენკოს, რომლის მიმართაც უკვე რამდენიმე სს-ის საქმეა აღძრული, კარასიოვი გადაწყვეტით ვერ ამბობს, მაგრამ ეეჭვება პოროშენკოს განსასჯელის სკამზე დაბრძანება. რუსი, უკრაინელი თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ექსპერტები თანხმდებიან, რომ ზელენსკის არავინ ეკითხება არც პოროშენკოს ბრალდება-გასამართლებას და არც სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის დაბრუნებას, ისევე როგორც ამ უკანასკნელის საქართველოსთვის გადაცემას. ზელენსკის უბრძანეს, სააკაშვილისთვის მოქალაქეობა აღედგინა, რაც მან უსიტყვოდ შეასრულა, ოკეანისგაღმელი „პატრონები“ თუ გადაწყვეტენ, სააკაშვილის, როგორც სახელმწიფო დამნაშავის საქართველოსთვის გადაცემას, ზელენსკი ამ მითითებასაც დაუყოვნებლივ შეასრულებსო. კედმის განცხადებით, უკრაინა ფაქტობრივად თეატრის სცენად გადაიქცა, მთავარ როლში პროფესიონალი კლოუნი ზელენსკია, მეფის მასხარას დამხმარე როლს, საკუთარი სურვილით ფსიქიური გადახრების მქონე სააკაშვილი ასრულებს, დანარჩენები კი ვიგინდარების ნაკრებია, ასეთია დღეს უკრაინაში პოლიტიკური სურათი. მათ მიწასთან გაასწორეს უკრაინა, უმძიმესი სიტუაცია რომ არის, ხელისუფლების მაღალი ეშელონებიც ვეღარ მალავენო.

იაკობ კედმი „მაიდნელი“ ტურჩინოვის განცხადებას, რომ სამმილიონნახევარი ადამიანი მუდმივად ქვეყნის გარეთ ცხოვრობს, ხოლო ცხრა მილიონი გამგზავრებას აპირებს, უკრაინის ტრაგედიად აფასებს. სხვათა შორის, ეს ის ტურჩინოვია, რომელსაც რუსული მხარე ძმათამკვლელი ომის გაჩაღებაში სდებს ბრალს. 45-მილიონიანი მოსახლეობა 30 მილიონამდე დაიყვანეს, თან ეს არ არის მწარმოებლური (ინდუსტრიული) ზონის მოსახლეობა, პლიუს ამას, ვისაც მუშაობის უნარი და სურვილი აქვს. ეს კონტიგენტი ძირითადად ქალები, ბავშვები, მოხუცები და ბანდერასა თუ სააკაშვილ-„მაიდნელების“ ფანი, უსაქმური ნაციკები ყოფილან, რომელთაც არც მუშაობა უნდათ და არც ქვეყანაში წესრიგის დამყარება. ვისაც მუშაობა შეუძლია და უნდა, ვინც ქვეყანა გასაჭირიდან უნდა გამოიყვანოს, აღარ არიან უკრაინაში, რადგან მოთხოვნადიც არ არის ეს ხალხი. ძალიან საშიში, საშინელი ხალხია იმ ტრაგედიის სცენარისტები, რეჟისორები თუ მსახიობები, რომელიც უკრაინაში სუფევსო, აცხადებს პროფესიონალი ექსპერტი. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოს „რუსეთი დღეს“ წარმომადგენლის დიმიტრი კულიკოვის განცხადებით, სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნება, კიდევ უფრო გაართულებს ისედაც მძიმე ვითარებას. ის პროვოკაციის №1 სპეციალისტია, იმიტომ, რომ აგვისტოს ომი (08.08.08 წ.) იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, რაც იმაზე იყო აგებული, რომ რუსეთს თბილისი აეღოთ. ამერიკელებს უნდოდათ ზუსტად ეს, რომ მერე კისერზე უზარმაზარ სიმძიმე დაკიდებულს ეწვალა რუსეთსო.

საერთაშორისო ძებნილი სააკაშვილი მეგობარმა პეტრომ რომ შეიფარა და მერე ოდესის გუბერნატორობაც უბოძა, საღად მოაზროვნე ადამიანები მაშინაც ამბობდნენ, რომ მიხო-გარეკილი „შეუგდეს“ მაკეინ-სოროს-ნულანდის ნაკურთხ „მაიდნელებს“. ამათი სიამტკბილობა დიდხანს არ გაგრძელდებაო. სააკაშვილი მსოფლიო გავლენიანი „გვამების“ წყალობით, ინტერპოლმა ძებნიდანაც მოხსნა, თუმცა საქართველოში კვლავ ძებნილად ითვლება, რამდენიმე საქმეზე სასამართლომ დაუსწრებლად განაჩენიც გამოუტანა და აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. ამ ჰალსტუხიღეჭია კარლსონის სისტემატურ მუქარებთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ჩამოვიდოდა და ისეთ მიტინგ-დემონსტრაციებს მოუწყობდა ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, რომ ნაცებს იქით შეევხვეწებოდით, ხელისუფლებაში დაბრუნდითო, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკმა დავით გაგნიძემ ადრინდელ ინტერვიუში განგვიცხადა, სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას პირველ რიგში მისი ე.წ. მფარველები არ დაუშვებენ. რა „ვაჟკაციცაა“ მიშა, ყველას კარგად მოეხსენება, როგორც კი საკანში აღმოჩნდება, მაშინვე „დაფქავს“ ვისი დირექტივებით მოქმედებდა ცხრა წლის მანძილზე, ან ვინ იყო 2008 წლის ომის ინიციატორი და ა.შ. ამ ყველაფრის გამჟღავნება მის „პატრონებს“ არ აწყობთ, სააკაშვილი თუ მაინც გაჯიუტდება, მაშინ თვითონვე „გააგორებენ“ და სიკვდილის მიზეზად ინფარქტს, ან სხვა „საყოფაცხოვრებო“ მიზეზს შემოგვასაღებენ, ასეთ შავბნელ საქმეებში ცოცხალი მოწმე არავის აწყობსო.

„სასარგებლო იდიოტი“, ამ სახელით მოიხსენიებენ სპეცსამსახურები გავლენის აგენტებს. „სასარგებლო იდიოტი“ ჰქვია პირს, რომელსაც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები თავის სასარგებლოდ იყენებენ. როგორც წესი, ამ „იდიოტს“ საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იყენებენ. სააკაშვილი არაერთხელ მოუხსენებიათ „სასარგებლო იდიოტად“ ორივე „სამშობლოსთან“, ანუ საქართველოსა და უკრაინასთან მიმართებაში, იმიტომაც აქვს მას უცხოელების მხარდაჭერაო. ისე, სააკაშვილი ამ მხრივ ნამდვილად არ არის გამონაკლისი, საქართველო გაძეძგილია ამ კატეგორიის პერსონებით. ვისაც ეჭვი ეპარება, გადახედოს ე.წ. პოლიტიკოსების, უფლებადამცველებისა თუ ჟურნალისტების საქმიანობას. სააკაშვილი ამ ეტაპზე სამშობლოდ უკრაინას თვლის და არსებობს დიდი ეჭვი, რომ ზუსტად ხსენებული როლის შესასრულებლად გადაამისამართეს უკრაინაში. არსებობს მოსაზრება, თან ძალზე სერიოზულ დონეზე, რომ თუ უკრაინაში გაგრძელდა ის ვითარება,

12 გვ. →

სამი აფერისტის ხელში ჩაძირული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი!

მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას: გაბედეთ და ხმამაღლა თქვით სიმართლე – თუ ვინმე უშლის ხელს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას, ეს არის პირველ რიგში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ და მისი ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე

ნახევარი წელი გაილია მას შემდეგ, რაც **„ანაკლია პორტი“** ქართული მასმედიის საკვები თემა გახდა. მე პირადად, მივესალმები ასეთ აქტივობებს ანაკლიასთან მიმართებაში, რადგან 2013 წლიდან, ანაკლია პორტთან დაკავშირებული წვრილმანი საკითხიც კი არ დამრჩენია გაუშუქებელი.

გულდასაწყვეტი ის არის, რომ, სანამ კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძის **„ანაკლია პორტის ურემი“** არ გადაბრუნდა და ქვეშ არ მოიყოლია საქართველოს მთავრობა, პრემიერმინისტრიან, ინფრასტრუქტურის და ეკონომიკის სამინისტროებიანად, იშვიათი გამონაკლისის გარდა ხმა არავის ამოუღია!

როცა, უფულო, უიდეო, სახელმწიფო და საბანკო ავანტურისტების მიერ, სპეციალურად **„ანაკლია პორტის“** ტენდერის მოსაგებად შექმნილ ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“** (იგივე „ხაზარაძე დაკონტი ჯგუფი“) ვამხელდი და საჯაროდ ვაცხადებდი, რომ – **ესენი, ახალი აბრეშუმის გზის, ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის „ანაკლია პორტის“, საქართველოსთვის ათასწლეულის პროექტს დაღუპავენ და მომავალში, მსგავსი შემთხვევა ჩვენს ქვეყანას არ მიეცემა -მეთქი,** სამთავრობო ჩინოვნიკებთან ერთად, ქართული მასმედია დუმდა და კანტიკუნტად ხმას თუ ამოიღებდა – ისევ ზემოთხსენებული ავანტიურისტების სასარგებლოდ!

სამწუხაროდ (ისევე, როგორც ბევრი სხვა), ჩემი ნათქვამი **„ანაკლია პორტის“** მოსალოდნელ კრახზე, აცხადდა!

საკვირველი ის არის, რომ, ამის შემდეგაც, ქათული მასმედია **„ათასწლეულის პროექტის“** დაქცევის მიზეზებზე კი არ მსჯელობს და წუხს, არამედ ფაქტს აფიქსირებს, რომლის შესახებაც მე 2016 წლის 5 თებერვალს **„ანაკლია პორტის“** ტენდერის გამარჯვებულის გამოცხადების ორი კვირის თავზე (საერთო გაზეთი, N6 (359) 24.02.2016) ვწერდი:

„რატომ გამოცხადდა გამარჯვებულად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ტენდერში კომპანია, რომელიც სახელმწიფოს მიერ წარდგენილი პირობებიდან ვერცერთს ვერ ასრულებს?“

2016 წლის 5 ივლისს **„საქართველოს რესპუბლიკაში“** გამოქვეყნებულ წერილში ვამხელდი:

„ორწლიანი ხანგრძლივობის ტენდერის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადებულ კომპანიას არ უნდა გაეჩინა კითხვები, მაგრამ აქაც იჩინა თავი „სამთავრობო ყმაწვილების“ ზედაპირულმა მიდგომამ სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტებისადმი და ზემოთხსენებული ტენდერის არცერთი პირობა არ შესრულდა, უფრო მეტიც – ამის გამო სირცხვილის გრძნობაც კი არ გაჩენიათ არც ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ „ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ და არც მათ ლობისტებს.

ასე მოიარეს ხუთივე კონტინენტი მიმდინარე წლის 5 თებერვლიდან (ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადების თარიღი) პრემიერმა კვირიკაშვილმა, ეკონომიკის მინისტრმა ქუმსიშვილმა და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსთავმჯდომარე ხაზარაძემ ანაკლიაში პორტის ასაშენებელი ფულის სამათხოვროდ, მაგრამ ყველა მხრიდან მხოლოდ „ქების სიგელებით“ დაბრუნდნენ.“

მიდით, ცოტა ხნით აქ დავსვათ წერტილი და ვიკითხოთ, – რატომ ვიყავი უკიდურესად სკეპტიკურად განწყობილი ტენდერში გამარჯვებული ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმისადმი“**?

პირდაპირ თუ ირიბად, სამთავრობო და საპარლამენტო პირები მირჩევდნენ ანაკლიის თემას შევშვებოდი, მაგრამ ჟურნალისტური გამოძიება არ შემიწყვეტია და პარალელურად ვსწავლობდი, ცნობილი ევროპის პორტების მშენებლობის ისტორიებს. ამ კუთხით, საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, ცნობილი ოკეანოლოგის, მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბატონი ნოდარ წივწივაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია:

„პორტის მშენებლობის ეკოლოგიური მიდგომების უცხოური გამოცდილების მაგალითები:

...ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითს **ჰავრის პორტის** მშენებლობის პროექტი წარმოადგენს (თითქმის ანაკლიის „პორტის“ ტვირთბრუნვის ტოლი). პროექტის ღირებულება 1 მილიარდ ევროს შეადგენდა. მას **„Harpora“** ეწოდება. სამი ქალაქი ჰავრი, რუანა და პარიზი გაერთიანებულია ერთი ავანპორტით. გარემოს დაცვაში ინვესტირებულ იქნა დაახლოებით 50 მილიონი ევრო. **მშენებლობისთვის მზადების პერიოდი 7 წელს შეადგენდა**. აქედან უმეტესი დრო გარემოზე ზეგავლენის შესწავლამ, ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვებამ და გარემოს შენარჩუნების რეკომენდაციების შემუშავებამ დაიკავა.

ასეთივე ეკოლოგიურობით გამოირჩევა **კალეს ავანპორტი**, რომელსაც შეუერთდა ქალაქი ბულონი, **მშენებლობისათვის მზადებამ 11 წელს გასტანა**. ამ ხნის განმავლობაში გაანალიზებულ იქნა 20 ალტერნატიული ვარიანტი, მხედველობაში მიღებულ იქნა ჩატარებული კვლევების შედეგები. ორჯერ განიხილეს ავანპორტის გავლენა გარემოზე, პირველად დაწყებისთანავე და მეორედ მშენებლობის შუა სტადიაში.

მოსახლეობის საბედნიეროდ, კალეს ავანპორტი დასახლებული პუნქტებისაგან მოშორებით შენდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ქვიშითა და მტვრით დაიფარებოდა. მშენებლობის სიახლოვეს აირწინაღის გარეშე სუნთქვა უბრალოდ შეუძლებელია. სამწუხაროდ ასეთი იღბალი ნამდვილად არ აქვს ანაკლიის მოსახლეობას, რომელსაც პორტი, ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშე, ცხვირწინ უშენდებათ.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანაკლიის პორტის მშენებლობა დაიწყო სპონტანურად, ალტერნატიული ადგილებისა და საპროექტო წინადადებების ვარიანტების განხილვის გარეშე (მაგალითად: ქარჩავა-ერაგიას, ან პაუერ-ჩაინას პროექტები), უცხოელი ინვესტორების სწრაფად „მოზიდვისა“ და კერძო უძრავი ქონების დაპატრონების ან ექსპროპრიაციის პროცესში „ადვილი“ მოგების მიღების მიზნით.“

მხოლოდ ზემოთნახსენები ინფორმაციის შემდეგ დავინტერესდი დამედგინა ანაკლია პორტის ტენდერში გამარჯვებული კონსორციუმის ასაკი. ჩემდა გასაკვირად, ტენდერში გამარჯვებული **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** მხოლოდ ერთი წლისა აღმოჩნდა (საჯარო რეესტრში, 27.10.2014-ში მოიხსენიება პირველად; 29.10.2015-ში წილების გაყოფა 50/50 ხაზარაძე და კონტის შორის), არც მის დამფუძნებლებს და არც მასში შემავალ კომპანიებს არასოდეს ჰქონიათ პორტთან ურთიერთობა და მშენებლობის დიდი გამოცდილება, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ – **„ამირიკულ „კონტის“ ორი „ბოგირი“ ჰქონდა თურმე, მანამდე, ამერიკაში გარემონტებული!“**

ზედმეტია საუბარი, ხაზარაძის კონსორციუმის მიერ, ზემოთნხსენებ უცხოურ პორტებში (**„ჰავრის პორტი“** და **„კალეს ავანპორტი“**,) ჩატარებული, ანალოგიური წინასამშენებლო სამუშაოების ჩატარებაზე ანაკლიაში, რაც აუცილებელი პირობაა მსგავსი საზღვაო ნაგებობების დასაწყებად.

საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით, ბუნებრივია, **ასეთი შემადგენლობისა და ხარისხის „კონსორციუმისგან“ კარგს და სახარბიელოს, ქვეყნის სასიკეთოდ არაფერს მოველოდით!**

ამან განაპირობა ჩვენი მხრიდან უწყვეტი განგაში, რომელსაც, სამწუხაროდ, ზემოთხსენებული სამთავრობო ჩინოვნიკების ყურადღება არ მოჰყოლია!

სწორედ ამ გარემოებამ მიიყვანა პორტის მშენებლობის საქმე, გაუგონარ თავხედობამდე, როცა – 2016 წლის 5 თებერვალს ანაკლია პორტის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფი“** იგივე **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“** სამი წლის მანძილზე, პორტის ასაშენებელი ფულის საძებნელად უშედეგო წანწალის შემდეგ, საქართველოს მთავრობას მიადგა და პორტის აშენების დასაფინანსებლად უალტერნატივო პირობები წაუყენა.

მეოთხედ საუკუნეზე მეტია ჩვენს ქვეყანაში **„დაუშვებელი“** არაფერია, მაგრამ, ის რომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კერძო კომპანია, იმავე სახელმწიფოს მთავრობას ულტიმატუმს უყენებდეს და ტენდერის ობიექტის დაფინანსებას თხოვდეს, თან უმკაცრესი პირობებით, ბევრი ვეძიე, მაგრამ ანალოგი ვერსად მოვიპოვე!

ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, როცა მთავრობაა კორუფციულ გარიგებაში გარეული **„ტენდერში გამარჯვებულთან“**, ან არსებობს გარეშე ძალა, რომელიც ე.წ. **„ტენდერში გამარჯვებულს“** აგულიანებს მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც უამრავ სხვა გარემოებებზე დამოკიდებული, ქვეყნის მთავრობა ვერ ამხელს!

ეს ის საკითხია, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას სცილდება, იმედია მას სათანადო უწყება მიხედავს!

გულდასმით შევისწავლე ქვეყანაში არსებული ტენდერის ჩატარების კანონები. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, იქ ყველაფერი უნაკლოდაა ჩამოყალიბებული, სადაც არამცთუ ტენდერის ისეთი პირობების დარღვევას, როგორი-

12 გვ.

დაკარგულების პოვნის დღესასწაული უკრაინაში

10 გვ.

რაც ე.წ. მაიდნის შემდეგ სუფევს, ლენინისა და სტალინის მიერ ხელოვნურად შეკოწიწებული უკრაინის რესპუბლიკა თავისი უზარმაზარი ტერიტორიებით, მარტივ მამრავლებად დაიშლება. რუს პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებს არაერთხელ უხუმრიათ, სააკაშვილიც და პოროშენკოც ჩვენი „კაცები“ არიან, რუსეთის საქმეს აკეთებენო და მაგალითად, ყირიმი, დონბასი, აფხაზეთი და სამაჩაბლო მოყავდათ. როგორც ირკვევა, ზელენსკიც რუსეთის „კაცი“ ყოფილა, ჟურნალისტ სოლოვიოვის კითხვაზე, რატომ აძლევს უკრაინა პოლიტიკურ თავშესაფარს მიხეილ სააკაშვილსო, უკრაინელმა პოლიტოლოგმა ვიაჩესლავ კოვტუნმა ვითომდა ხუმრობით უპასუხა, რუსეთის პრეზიდენ-

ტმა სთხოვა ზელენსკის, სააკაშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნება, ის არ თვლის სააკაშვილს სამხედრო დამნაშავედ, თქვენ წინააღმდეგი ხართ პრეზიდენტ პუტინისო. ენაკვიმატმა სოლოვიოვმა პასუხი არ დაუგვიანა, ე.ი. პუტინის ბრძანებებს ასრულებთ, მაშინ ბოლომდე შეასრულეთ, მან უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდა სააკაშვილისთვის პასპორტი დაებრუნებინათ და რუსეთის საელჩოსთვის გადაეცათ. რუსეთის პრეზიდენტი სააკაშვილს დაპირდა, რომ ინტიმური ადგილით დაკიდებდა, ბარემ ესეც შეასრულეთო.

ძალზე საინტერესო განცხადება გააკეთა უკრაინის „რადას“ ორი მოწვევის დეპუტატმა სპირიდონ კილინკაროვმა, მისი აზრით, უკრაინის გაყიდვის მეორე ეტაპი დაიწყო, ახალ ხელისუფლებას სააკაშვილთან ერთად, საბრძოლო მოქმედებებისთვის დამატებით უფლებებს მისცემენ პოლიტიკური კუთხით. აქ შედის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაც, წარმოდგენაც არ შემიძლია, რით შეიძლება დამთავრდეს ეს უკრაინისთვისო, აცხადებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი. ზელენსკის გარშემოც რომ სოროს-დემოკრატების „კამანდაა“ შემოკრებილი, ამაზე ღიად საუბრობენ რუსულ



მედიაში. უკრაინას კვლავაც ანტიტრამპულ პროექტად გადააქცევენ, რითაც უამრავ პრობლემას შეუქმნიან ქვეყანას, სოროსი უკრაინით ითამაშებს ტრამპის წინააღმდეგ, ამ დროს ვის აინტერესებს უკრაინელი ხალხის ბედი.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის მსოფლიო დონის პოლიტიკოსობას და მის მეგობრობა-პარტნიორობას მსოფლიოს წამყვან პოლიტიკურ ლიდერებთან, რითაც ასე „აბოლებენ“ გულუბრყვილოებს საქართველოშიც და უკრაინაშიც. იაკობ კედმის განცხადებით, სააკაშვილი იჩემებს იმ ტრამპთან მეგობრობას, რომელმაც თავის ქვეყანაში ცხოვრების საშუალებაც კი არ მისცა.

იაკობ კედმი: „სამწუხაროდ უკრაინა, ეს ერთ დროს უმდიდრესი და უძლიერესი ქვეყანა, სანაგვედ, ყველა იმ სიბინძურის თავშეყრის ადგილად აქციეს, რაც კი არსებობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში თუ მთელ მსოფლიოში. ყველა ნაყარნაუყარმა რუსეთიდან, საქართველოდან თუ სხვა ქვეყნებიდან, უკრაინის ტერიტორიაზე ჰპოვა „ნავსაყუდელი“. ახლა სააკაშვილიც დაიბრუნეს, როგორ შეიძლებოდა ამის ქვეყანაში შეშვება, არ არის ეს ადამიანი ფსიქიურად ჯანმრთელი. სიმართლე გითხრათ, სააკაშვილი მეცოდება, როგორ შეიძლება ასე აბუჩად, მასხარად აიგდო ფსიქიურად დაავადებული, გონებრივად ჩამორჩენილი გაუწონასწორებელი ადამიანი. ასეთი ადამიანი ქუჩაში არ უნდა გამოუშვა, რომ დაცინვის და დამცირების ობიექტი არ გახდეს. სააკაშვილი კი „პატრონებმა“ განმეორებით „შეტენეს“ უკრაინაში და ლამის მთელი მსოფლიო დასცინის. „მაიდანიც“ და მიხო სააკაშვილიც წმინდა წყლის ამერიკული პროექტია. ახლაც ამერიკელებმა უბიძგეს უკრაინისკენ. საქმე იმაშია, რომ აშშ-ის დღევანდელ ხელისუფლებას იმდენად არ აინტერესებს უკრაინა, რომ ყურადღებას არ აქცევენ, იქ ვინ რას აკეთებს. ტრამპის მთავრობის ხელს ჯერ არ მიუღწევია უკრაინამდე. ამიტომაც ჩადის იქ ვიღაცის რეკომენდაციით სააკაშვილი. ეს არის ქვეყანა, სადაც მთავარი და ყველაზე ძლიერი ფიგურა, გონებრივად განუვითარებელი ბანდიტი, დნეპროპეტროვსკის მაფიის მეთაურია. ამ შეშლილების, სხვადასხვა ჯურის კრიმინალების, თაღლითების, ბანდიტებისა და ქურდების ნაკრების სათავეში დგას პროფესიონალი კლოუნი, მასხარა, რომელსაც დაემატა დიპლომირებული სულელი, არანაკლები კლოუნი სააკაშვილი. ამისკენ მიდიოდა რადა, ამ „ჯენტლმენური“ ნაკრებით სად უნდა წავიდეთ, უკრაინელებო?“

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სამი აფერისტის ხელში ჩაძირული ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი!

11 გვ.

ცაა: **ტენდერით დადგენილი ვადების დაცვა; დაფინანსების წყაროების ოფიციალური დასაბუთება; შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი** და ა.შ., არამედ წერტილ-მძიმესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება!

აქედან გამომდინარე, ქვეყნის მთავრობას ვეკითხები:

ასეთი, წყალგაუვალი კანონების მქონეებს, რა ღმერთი გაგიწყრათ, **„ათასწლეულის პროექტის“** დამღუპველებს პასუხს რომ ვერ თხოვთ?

რატომ არ მოთხოვეთ ხაზარაძე და მის ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“** გაესაჯაროებინა პროექტი, და ქვეყნის მოსახლეობას ენახა, რის აშენებას აპირებს ანაკლიაში?

რომელი პროექტის თანახმად ამოტუმბეს ზღვის ნაპირიდან მილიონობით კუბური მეტრი ქვიშა, რომელიც, ასევე მილიონობით წელი ილექებოდა ზღვის ფსკერზე და არავინ იცის, თაკარა მზის გულზე თვეების განმავლობაში უპატრონოდ დაყრილი, რა ავადმყოფობებს გააცოცხლებს ათიათასობით კვადრატულ მეტრ ფართობზე?

მე ანაკლიელი გახლავართ და რომელიმე არამკითხე ნუ შეეცდება, მასწავლოს აქამდე რა ხდებოდა და რა შეიძლება ამის შემდეგ მოხდეს ანაკლიაში.

შარშან, მას შემდეგ, რაც გადაგვეწურა იმედი, ანაკლიაში არაფერი სასიკეთო არ მოხდება და ქვეყნის მთავრობა ამის გამაკონტროლებელი არ არის, ჩვენ დავაფუძნეთ **„ანაკლიის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი“** სადაც გაწევრიანდნენ ქართველი და უცხოელი, ცნობილი მცნიერები და ცალკეული დარგის სპეციალისტები, რომლებიც უახლოეს ხანში წარმოადგენენ წყალგაუვალ დასკვნებს, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს, ზღვის ფსკერიდან უმიზნოდ ამოტუმბულმა შეუსწავლელმა მასალამ, ადგილობრივ მოსახლეობას და გარემოს!

აქვე გარკვევით ვაცხადებ – **საწყნად ნურავინ გამიგებთ, „ანაკლია პორტის“ პრობლემებს ნუ შეეხებით ისინი, ვისაც ერთხელ მაინც არ გძინებიათ გემბანზე, ან პორტის ნაპირზე მხოლოდ სასეირნოდ გაგივლიათ!**

სხვა თემებია **„ანაკლია პორტის“** და **„ფოთის პორტის“** ერთმანეთთან შედარება, ან ზოგადად, რამდენად შეუშლის ხელს საქართველოს სხვა პორტებს **„ანაკლია პორტის“** მშენებლობა და სხვა... ამ საკითხებზეც, უახლოეს ხანში **„ანაკლიის ეკოლოგიური მონიტორინგის ჯგუფი“** მეცნიერულად დასაბუთებულ სტატიებს შემოგთავაზეთ.

სტატიის დასასრულს, ვისაც მცირეოდენი წარმოდგენა მაინც აქვს **„ანაკლია პორტის“** წინარე ისტორიაზე და ტენდერის ფინიშზე დარჩენილი ორი მონაწილედან ერთერთი მივიწყებულის, **„კონსორციუმ ანაკლია და ეკო პარკის“** შესახებ, რატომ არავის გაუჩნდა კითხვა სად არის და რას საქმიანობს დღეს **„კონსორციუმი ანაკლია პორტი და ეკო პარკი“** და მისი პრეზიდენტი ბატონი თეიმურაზ ქარჩავა“?

ხაზარაძის **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“** მსგავსად, თეიმურაზ ქარჩავას **„კონსორციუმი ანაკლია პორტი და ეკო პარკი“** კონკრეტული ტენდერის მოსაგებად კი არ შექმნილა. იგი 2003 წლიდან არსებობს და **„ანაკლია პორტის“** კვლევის საკითხებზე მუშაობს. ამჟამად, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, კონსორციუმში შემავალ ჩინელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს მეგაპროექტებში, მათ შორის პორტების მშენებლობაში!

ამ თემას უახლოეს დღეებში კვლავ მივუბრუნდები.

დავით ქობალია
598 70 86 00

მსოფლიო პოლიტიკის ცხელი ზაფხული დაიწყო

იუგოსლავიაში ორი ათეული წლის წინ საბრძოლო მოქმედების დასრულების შემდეგ, ევროპაში თითქოს მშვიდობამ დაისადგურა. თუმცა ერთი სახელმწიფოს დაშლის შედეგად ერთბაშად ექვსი წარმოიშვა. კოსოვოს საკითხი, მართალია, ჯერაც გაურკვეველია, რადგან ასეთი ქვეყნის ცნობა-აღიარებისგან ევროპისა თუ მსოფლიოს რიგი სახელმწიფოები დღემდე თავს იკავებენ. ამიტომაც, კოსოვოელები დროდადრო ცდილობენ მსოფლიოს ყურადღების მიპყრობას. საამისოდ არც პროვოკაციულ მოქმედებებზე ამბობენ უარს.

გასულ კვირას ბალკანეთი დროებით გადაურჩა შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებების დაწყებას. დროებითო, ვამბობთ, რადგან ვითარება დღემდე კვლავ უკიდურესად დაძაბული რჩება. მიზეზი — თვითგამოცხადებული ქვეყნის, კოსოვოელების პროვოკაცია გახლდათ. მათი ე.წ. შეიარაღებული სამართალდამცავები რამდენიმე ათეული ბრონირებული მანქანით შეიჭრნენ სერბებით დასახლებულ ოთხ სოფელში, ვითომ კონტრაბანდისტული ტვირთის მოსაძებნად. უხეშადაც ჩაატარეს სპეცოპერაცია. მართალია, ამას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ ფიზიკურად დაზარალდა რამდენიმე ათეული მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის, ქალებიც არ დაინდეს კოსოვოელებმა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ შეხლა-შემოხლისას მძიმე ტრავმები მიაყენეს გაეროს ეგიდით მყოფ დამკვირვებელ დიპლომატს. კოსოვოელმა ძალოვნებმა არად ჩააგდეს, რომ იგი დიპლომატიური ხელშეუხელობით სარგებლობდა და, ფაქტობრივად, „დალეწეს“. გაეროში უკვე დაიწყეს ფაქტის მოკვლევა და ამაზე უშიშროების საბჭოს სხდომაზეც იმსჯელებენ, მაგრამ უცნაურია, მსოფლიოს, მათ შორის ევროპის ქვეყნების ოფიციალური პირების დუმილი, რომლებსაც დღემდე არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდრ ვუჩიჩმა თავისი ქვეყნის შეიარაღებული ძალების რაოდენობა კოსოვოს საზღვართან გაზარდა და გააძლიერა. აღსანიშნავია, რომ კოსოვოელ ძალოვნებს სერბებით დასახლებულ სოფლებში იარაღით ყოფნის უფლება საერთოდ არ ჰქონდათ. სწორედ ამიტომაც არიან განთავსებული კოსოვოში გაეროს დამკვირვებლები. თუმცა ევროპელი მიმომხილველების ინფორმაციით, კოსოვოელები საერთაშორისო ნორმებს არაფრად აგდებენ. როგორც ამბობენ, თვითაღიარებული ქვეყნის პრეზიდენტს ხაშამ ტაჩიკს (რომელიც სერბებთან ომში აქტიურად მონაწილეობდა და განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა), აშშ-ისა და ნატოს იმედი აქვს.



სერბი პოლიტოლოგების აზრით, იგი დარწმუნებულია, რომ მის ნებისმიერ უკანონობაზე თვალს დახუჭავენ და მხარსაც დაუჭერენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ბალკანეთში, იფეთქებს ახალი ომი, თუ შეძლებენ მშვიდობიანად შეთანხმებას.

ორწლიანი დუმილის შემდეგ აშს-ის სპეცპროკურორმა რობერტ მიულერმა პრესკონფერენცია გამართა. ბრიფინგი კი ერქვა, მაგრამ კითხვის დასმის უფლება არავის ჰქონდა, მათ შორის არც ადგილობრივ ჟურნალისტებს. მიულერმა საზოგადოებას ამცნო, რომ გადადგა სპეცპროკურორის თანამდებობიდან, ვინაიდან მისმა ჯგუფმა დაასრულა მუშაობა, რომელიც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის რუსეთთან კავშირს იძიებდა. მისი განცხადებით, რუსეთთან შეთქმულების კავშირის კვალი არ აღმოჩნდა. თუმცა იქვე თქვა, რომ: „...ტრამპს თავისი უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთები არა აქვს“.

ექსპერტების შეფასებით, ამით მიულერმა დემოკრატებს და ტრამპის მოწინააღმდეგეებს დაუტოვა შანსი, კვლავ ეძებონ იმპიჩმენტის გამოცხადების საშუალება. პოლიტოლოგები აქვე იმასაც აღნიშნავენ, დემოკრატები სენატში უმცირეობაში არიან, სენატის გარეშე კი ტრამპისთვის იმპიჩმენტის გამოცხადებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. დონალდ ტრამპი უმალ გამოეხმაურა მიულერს. მისი განცხადებით, იგი საერთოდაც არ უნდა დაენიშნათ სპესპროკურორად. „...როგორც ვხედავთ, არ არსებობს ბრალეულობა და არც დამნაშავეები. მადლობა გამოძიებას“, — განაცხადა ტრამპმა.

სავაჭრო ომი ყოველკვირეულად ახალ სახეს იღებს. ერთი თვის წინ აშშ-მა კანადასა და მექსიკას ალუმინზე და ფოლადზე დაწესებული გაზრდილი გადასახადი მოუხსნა. ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთო, განაცხადა მაშინ დონალდ ტრამპმა. გასულ კვირას მექსიკას ახალი სანქციები დაუწესა. ნებისმიერ პროდუქციაზე გაუზრდის გაასახადს, თუ არალეგალი მიგრანტების მოზღვავებას არ შეაჩერებენ. მექსიკელებს იმედი აქვთ, რომ ტრამპთან მოლაპარაკებას შეძლებენ. იმასაც აღნიშნავენ, რომ შარშანდელთან შედარებით წელს საგრძნობლად არის გაზრდილი სამხრეთ ამერიკიდან არალეგალი მიგრანტების რიცხვი.

წლეულს აღნიშნავენ მეორე მსოფლიო ომის დროს ნორმანდიაში მოკავშირე ჯარების შესვლის 75-ე წლისთავს. ღონისძიება დიდ ბრიტანეთში გაიმართა, სადაც დონალდ ტრამპი მეუღლესთან ერთად ჩავიდა. დიდი ბრიტანეთის დედოფალთან სტუმრობის შემდეგ ტრამპი პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეისაც შეხვდება. რა თემებზე ისაუბრებენ, უცნობია. მით უფრო, რომ მეი ამ დღეებში დატოვებს თანამდებობას. შარშანდელი ვიზიტის მსგავსად, წლეულსაც იგეგმება ტრამპის საწინააღმდეგო დემონსტრაციები.

პოლიტიკური სიტუაცია დიდ ბრიტანეთში ბუნდოვანია. პრემიერ-მინისტრობაზე ერთბაშად 10 კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის ბორის ჯონსონი, რომელიც ტერეზა მეის პრემიერობისას საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ჯონსონი თავისი უცნაური გამოხდომებითაც არის ცნობილი. სწორედ მის კანდიდატურას ემხრობა დონალდ ტრამპი. ვითარებას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ის გარემოებაც, რომ ევროსაპარლამენტო არჩევნებში ნაიჯელ ფარაჯმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, რომელიც „ბრექსიტის“ მომხრეა.

საერთოდაც, დიდი ბრიტანეთის ევროსაპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, ევროპაში და ბრიტანეთში პოლიტოლოგებმა, ფაქტობრივად, „ბრექსიტზე“ განმეორებით რეფერენდუმად შეაფასეს და სავარაუდოდ, ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს, რასაც დონალდ ტრამპი მიესალმება.

ვითარებას დიდ ბრიტანეთში ართულებს ის გარემოებაც, რომ შოტლანდიაში გარკვეული დუმილის შემდეგ კვლავ ალაპარაკდნენ დამოუკიდებლობის მოთხოვნისთვის რეფერენდუმის გამართვაზე. შოტლანდიელების სურვილია, დარჩნენ ევროკავშირში. ექსპერტები საგონებელში ჩავარდნენ, შოტლანდიის დამოუკიდებლობა ხომ არ დაუდებს სათავეს დიდი ბრიტანეთის რღვევას. დაველოდოთ, რას გადაწყვეტს დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერ-მინისტრი, რომლის ვინაობაც, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს გახდება ცნობილი. ევროკავშირში კი თანამდებობებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი, თუ ვინ იქნება ევროკავშირის ხელმძღვანელი. ყველა წევრი ქვეყანა ცდილობს, გაიყვანოს სასურველი კანდიდატი.

აშშ და ირანი დღემდე „კუნთებს ათამაშებდნენ“, თუმცა გერმანიაში მყოფმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკლ პომპეომ განაცხადა: „...აშშ მზად არის ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დავიწყოთ ირანთან მოლაპარაკება“. თუმცა იქვე შეფარულად მაინც წაუყენა პირობები ირანელებს, რომლებიც აცხადებენ, რომ „ჩვენი ქვეყნის უპატივცემულობას არავის შევარჩენთო“. საინტერესოა აზიელი პოლიტოლოგების მოსაზრება, რომლებიც არ ურჩევენ აშშ-ს ირანთან საბრძოლო მოქმედებების დაწყებას. „17 წელია, ავღანეთს ვერაფერი მოუხერხეს, რომელსაც ნორმალური იარაღი არ აქვს. ირანთან კი, რომელსაც შეიარაღების სოლიდური არსენალი აქვს, განწირულები არიან დამარცხებისთვის“, — აცხადებენ ახლო აღმოსავლელი ექსპერტები.

მსოფლიო, განსაკუთრებით იაპონელები შეაშფოთა რუსეთიდან გავრცელებულმა ინფორმაციამ. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სახელმწიფო დუმაში შეიტანა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც გაუქმდება 1987 წლის აშშ-სსრკ (რონალდ რეიგანის და მიხეილ გორბაჩოვის ხელმოწერილი) გაფორმებული ხელშეკრულება მცირე და საშუალო რადიუსის რაკეტების აკრძალვაზე. რას მოუტანს მსოფლიოს რაკეტების ახალი ძალით წარმოება ძნელი სათქმელია, ექსპერტები დაუშვებლად მიიჩნევენ გამალებული შეიარაღების დაწყებას და მოლაპარაკებისკენ მოუწოდებენ მხარეებს. ამასობაში კი უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ახალს — ვლადიმირ ზელენსკის კვანტი დაუდო — უშიშროების საბჭოდან საიდუმლო ინფორმაციის შემცველი სერვერი გააქრო. ესეც მემკვიდრეობის გადაცემის ერთ-ერთი სიახლეა.

გია ბურდული
551 71 27 07

მთაწმინდამ ლადო კახაძე უნდა აირჩიოს!

აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის მიმართვა მთაწმინდის აზერბაიჯანულ მოსახლეობას

მთაწმინდის რაიონის აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობას კარგად ახსოვთ პერიოდი, როცა 9 წლის განმავლობაში ირღვეოდა მათი მოქალაქეობრივი უფლებები. მათ შვილებს ნარკოტიკებით უვსებდნენ ჯიბეებს, ართმევდნენ სახლებს, ავიწროებდნენ და დაშინების გზით აიძულებდნენ ხმა მოძალადეებისთვის მიეცათ.

ჩემო ძვირფასო მთაწმინდელო აზერბაიჯანელებო, ის დრო, საბედნიეროდ, დამთავრდა; ქვეყანა ცივილიზებულ ევროპულ გზას დაადგა, დემოკრატიულ პლატფორმაზე გადავიდა, რაც იმის პირდაპირი გარანტი ხდება, რომ თქვენი უფლებები დაცული იქნება ხელისუფლებისგან და კანონისგან, გაღრმავდა კომუნიკაციები თქვენსა და ხელისუფლებას შორის, თავისუფალნი ხართ სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით, ბიზნესის თვალსაზრისით და ა. შ.

კარგად იცით, მე თქვენს გვერდით ვიყავი ყოველთვის და როცა თქვენი უფლებები ირღვეოდა, წლებით ნაგროვებ დანაზოგს

და თქვენს სახლ-კარს უკანონოდ ითვისებდნენ, თქვენს ღირსებებს თელავდნენ, მე ვეწინააღმდეგებოდი მათ...

დღეს ყველა კარგად ვხედავთ, რა პროცესებიც მიმდინარეობს ქვეყანაში და როგორ დაძაბულ ვითარებაში გვიწევს არჩევნების ჩატარება.

ბატონ ლადო კახაძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი მთაწმინდის რაიონის განვითარებაში, არის პატიოსანი და საიმედო ადამიანი.

თანამემამულენო, ჩემო მთაწმინდელო აზერბაიჯანელებო, 9 ივნისს მიდით არჩევნებზე და ხმა მიეცით ლადო კახაძეს, რომ თქვენი უფლებები დაცული იყოს, რათა პარლამენტში გყავდეთ პატიოსანი და მშრომელი ადამიანი მოხვდეს მთაწმინდის მოსახლეობის სახელით.

არ ენდოთ შავგულიძეს, კაცს, რომელიც ტერორისტების და მკვლელების, ადამიანების მწამებლების, ეკლესიების დამრბევების, ციხის ბუნტის მომწყობების, 7 ნოემბრის და 26 მაისის შემოქმედების, მოლაშვილის, თეთრაძისა და ბევრ სხვათა წამებით სულის ამომხდელების, აკადემიკოს გურამ შარაძის მკვლელების გვერდით დადგა.

არ მოტყუვდეთ, ძმებო და დებო, ყველანი მიდით არჩევნებზე და ხმა მიეცით ბატონ ლადო კახაძეს. ჩვენ, ქართველებთან ერთად, უნდა ვიბრძოლოთ, რომ დამთავრდეს საქართველოში ნაციონალური მოძრაობის ბოგინი.

იმედი მაქვს, რომ ერთად გავიმარჯვებთ!

მთაწმინდამ ლადო კახაძე უნდა აირჩიოს!

ალი ბაბაევი

აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ქალბატონ ლამარა იანვარაშვილის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი დაიბეჭდა შეცდომით. მისი ნომერია: 599 33 23 35

ტატო ნინუა – 40

ძვირფასო ბატონებო
და ქალბატონებო!

2000 წლის 10 მაისს დილის 10 საათზე დედაუნივერსიტეტში შემზარავმა და საგანგაშო ზარმა ჩამოჰკრა, ახალმა კურსდამთავრებულმა ფილოლოგმა, რატი (ტატო) ნინუამ თავი დადო ზვარაკად და პროტესტის ნიშნად, 101-ე აუდიტორიაში დაასრულა სიცოცხლე.

ამ ვუნდერკინად გაჩენილ დიდ შემოქმედზე წერდნენ და დღესაც წერენ: „იგი იყო ფენომენი, 6 წლიდან პოეტად მოვლენილი რაინდი, განსწავლული, მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, პედაგოგი, გენიოსად აღიარებული“. დასტურად მისი 7 წიგნი იკმარებდა და მასზე თქმული შეფასებები...

მოგმართავთ უმორჩილესად და მოგახსენებთ: მე, როგორც მეხდაცემულ, შაოსან მშობელს, მაქვს პატივი, ჩვენი მამულიშვილების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, პოეტებისა და მწერლების, დედაუნივერსიტეტის რექტორატის, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის, თსუ-ის საქართველოს საზოგადოებრივი კავშირი „სევდის ბაღის“ დამფუძნებლების, კურსდამთავრებულების, სოფელ რუისის მრავალათასიანი მაცხოვრებლების, მეგობრებისა და სხვა მრავალთა სახელით მოგმართოთ და შეგახსენოთ:

რატი (ტატო) ნინუას 40 წელი შეუსრულდა, ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ შემოქმედებითი სხოვნის საღამოს მოწყობა, თუმცა, მოგეხსენებათ, ყოველივე ამას თანხები სჭირდება...

იმედი გვაქვს, რომ მოქალაქეები, მეცენატები და ბიზნესმენები ხელს წაგვაშველებენ, რუსთაველის აკადემიური თეატრის თავკაცებიც დაგვდებენ პატივს და იქ შევძლებთ ჩვენთვის ამ ძვირფასი დღის აღნიშვნას. იქნებ, მკითხველებისთვის სიურპრიზის სახით კიდევ ერთი, უკანასკნელი საწიგნე მასალა წიგნად გვექცია, რომელსაც სათაურად მისი პოეზიიდან დაერქმეოდა: „იმ უშორეს ვარსკვლავებთან ქარი დაგვასაფლავებს...“

დარწმუნებული ვართ, არც ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამორჩება რატის საიუბილეო საღამო (მით უფრო, რატის 35 წლის ხსოვნის საღამო „ბარათაშვილებმა“, დიდი სიყვარულით, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართეს). გვჯერა, „რუის-ურბნისის“ საერო და საეკლესიო კრების მომწყობთა შთამომავლები კიდევ ერთ „ანთებულ სანთელს“ დაუნთებენ ღირსეულ მამულიშვილს, მის ნათელ სულს და „გალობანი სინანულისანის“ მსგავსად უგალობენ, როგორც ეკადრება „შუა ქართლის გულსა და სულს“, ტატოს დედულეთს, თუნდაც იმიტომ, რომ: დიდი ისტორიის მქონე სოფელმა რუისმა და ქარელის რ-ნის გამგეობამ, გივი პაპა სულხანიშვილის მიერ ნაბოძებ კარ-მიდამოში, რატის (ტატო) ნინუას სახელობის სახლ-მუზეუმი და ახალგაზრდული სახალხო დღესასწაული „ტატოობა“ დააკანონა 16 მაისს.

თუ მშვიდობა იქნა, გეგმაში გვაქვს, თბილისში ჩატარებული საღამოს პროგრამით წარვსდგეთ ქალაქ გორში, კასპში, ქარელში, ხაშურში, ხონში, ქუთაისში, იუბილარის სახლ-მუზეუმსაც ვესტუმრებით, რუისელებსაც მივაგებთ იმ პატივს, რა გულითაც ატარა დედულეთის სიყვარული პოეტმა, არ არის გამორიცხული, ბათუმსაც ვეწვიოთ, თუ ინებეს...

გთავაზობთ სახლ-მუზეუმის საბანკო ანგარიშს, იქნებ, საჭირო თანხაც შეგროვდეს, რომ მივაგოთ პატივი კაცს, რომელიც რაინდ-პოეტად მოევლინა ქვეყანას და ანგელოზად იქცა...

ა(ა)იპ რატი (ტატო) ნინუას
სახელობის სახლ-მუზეუმი
მისამართი: ქარელის რ-ნი, სოფ, რუისი,
ტატო ნინუას ქ. N16.
ტელ.: 593 13 15 71;
593 14 19 00; 274 74 51.
საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ანგარიშის ნომერი
GE69 BG0000000965610900

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ
შეხვედრამდე...
პატივისცემითა და იმედით

დირექტორი ზურაბ ნინუა,
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი

ჩვენი ამჟამინდელი ოფისის მისამართია: თბილისი-44, სოლომონ ბრძენის (ყოფილი მეტეხის შესახვევი) ქუჩა 36,
ტელ.: 274 74 51; 593 13 15 71; 593 14 19 00;

6 ივნისს წელიწადი სრულდება, რაც ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის ბრძოლას შელეულმა მწერალმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, მთარგმნელმა და ერისკაცმა, ბატონმა როლანდ ჯალაღანიამ დატოვა ყველა ზემოთხსენებული სარბიელი და დაგვიბარა — აწი, თქვენ იცით, როგორ გააგრძელებთო!

ჩვენ შორს არ წავსულვართ, ისევ იქ ვართ და ისევე ვბორგავთ, 2012 წლის გაზაფხულზე, „დავით-გარეჯის“ ლავრაში რომ შემოგვათენდა!

ნათელში გვიმყოფოს უფალმა შენი სული!

მეგობრები



ჰიტლერის მუზა, ჰებელსის საყვარელი და სტალინის პირადი აგენტი – როგორ ახერხებდა მარიკა როკი დიქტატორების მოხიბვლას

ულამაზეს მარიკა როკს ერთდროულად აღმერთებდნენ ჰიტლერი და სტალინი, თუმცა გერმანიაში ის გებელსის საყვარლად მიაჩნდათ. დღემდე კამათობენ როკი ნაცისტების ფარული აგენტი იყო თუ საბჭოთა დაზვერვაზე მუშაობდა. ნებით თუ უნებურად, მარიკა როკი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სასტიკი და სისხლიანი რეჟიმის მხარდამჭერი და მესამე რეიხის ვარსკვლავი გახდა, მაგრამ ამის მიუხედავად, საბჭოთა კინოთეატრების სალაროებთან მისი ფილმების სანახავად ყოველთვის უზარმაზარი რიგები იდგა.

როგორ შექმნა კარიერა დიქტატორების საყვარელმა ქალმა?

მარიკა როკი წარმატებული ავსტრიელი არქიტექტორის ოჯახში დაიბადა. მამამისს არასოდეს აკლდა შეკვეთები ქვეყნის უდიდეს ქალაქებში ძვირადღირებული სახლების ასაშენებლად. შესაბამისად, გოგონა ყოველთვის და ყველაფრით უზრუნველყოფილი გახლდათ. ულამაზეს გოგონას სამეჯლისო ცეკვებს რუსი მასწავლებელი მადამ რუდკოვსკი ასწავლიდა, ამის გამო რუსები და რუსეთი პატარაობიდან შეუყვარდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უამრავი ბანკი გაკოტრდა, მათ შორის ისიც, სადაც მარიკას მამის დანაზოგები ინახებოდა. ამ პერიოდში მშენებლობის შეკვეთებმაც მკვეთრად იკლო და როკების ოჯახმა საცხოვრებლად პარიზში გადასვლა გადაწყვიტა. ოჯახი ფინანსური კრიზისისგან მარიკამ იხსნა – ის იმედისმომცემ მოცეკვავედ ჩამოყალიბდა და ადრეულ ასაკში დაიწყო მუშაობა კაბარე

„მულენ რუჟში“ ჰერტრუდა ჰოფმანის დასთან. ერთი წლის შემდეგ მარიკა უკვე მამასთან ერთად, რომელიც მისი იმპრესარიო გახდა, ამერიკაში გასტროლებზე გაემგზავრა. დამწყები მსახიობი და მოცეკვავე ოთხი წლის მანძილზე ბროდვეიზე კონცერტებს ატარებდა. 17 წლის იყო, როცა კინოში გადაიღეს. პირველი მთავარი როლი ფილმში „მოჩვენებების მატარებელი“ შეასრულა. ამის შემდეგ ის გერმანულმა კინოსტუდიამ მიიწვია სამუშაოდ. 1935–38 წლები ახალგაზრდა ვარსკვლავის კარიერის პიკი იყო. მარიკა როკის ნიჭიერება მესამე რეიხში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ეს ის პერიოდია, როცა პროპაგანდის მინისტრმა გებელსმა კონცეფცია შეიმუშავა, რომლის თანახმად, კინოხელოვნებას გერმანელების ყურადღება ცხოვრებისეული სირთულეებიდან კაშკაშა ეკრანული წარმოდგენებისკენ უნდა გადაეტანა.

მალე წარმატებული მსახიობი ქალი ჰიტლერის წინაშე წარადგინეს. ფიურერთან შეხვედრის დროს მარიკამ ფაშისტური მისალმების ნაცვლად, რომელიც არაქალურად ეჩვენებოდა რევერანსი გააკეთა. ჰიტლერმა მას ხელზე აკოცა და უთხრა, რომ მისი შემოქმედებით აღფრთოვანებულია. გებელსი ქალის მოხიბვლას ცდილობდა, მაგრამ თავიდან მარიკამ მისი სასიყვარულო იერიშების მოგერიება მოხერხებულად მოახერხა. ამის გამო როკისა და მისი ქმრის – გერმანიაში ცნობილი რეჟისორის გეორგ იაკობის ფილმი „კორა ტერი“ მეტისმეტად ეროტიკულად გამოაცხადეს და ნახევარი წლით დაბლოკეს. მთლიანობაში, მარიკა როკის კარიერა სწრაფად ვითარდებოდა, რაშიც როკის ნიჭის გარდა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა 31 წლით უფროსმა ქმარმაც.

გერმანული დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტებიდა ირკვევა, რომ გერმანული კინოს ვარსკვლავი მარიკა როკი აგენტურული ქსელი „კრონას“ წევრი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვან სამხედრო ინფორმაციას აწვდიდა.

სავარაუდოდ, მსახიობის გადაბირება მისმა დირექტრმა ჰანც ჰოფმანმა განახორციელა. აგენტურულ ქსელს საბჭოთა მზვერავი იან ჩერნიაკი ხელმძღვანელობდა, რომელსაც „ადამიანი ჩრდილის გარეშე“ უწოდეს, რადგან გერმანულმა კონტრდაზვერვამ ვერც ის და ვერც მისი აგენტები აღმოაჩინა. ჩერნიაკი არასოდეს არღვევდა კონსპირაციის წესებს და თავის აგენტებსაც იგივეს ასწავლი-

და. ის უნივერსალური მზვერავი იყო – სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე ევროპულ ენას, ჰქონდა ფოტოგრაფიული მეხსიერება და ფრთხილი და ჭკვიანი იყო.

ჩერნიაკის მიერ გადაბირებულ აგენტთა შორის იყვნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი, რუმინეთის დაზვერვის თანამშრომელი, გერმანიის მსხვილი მეწარმეები, ვერმახტის სახმელეთო ძალების ოფიცრები, ასტროლოგი, რომელიც ჰიტლერის პირად ჰოროსკოპს ადგენდა, ტანკების „ვეფხვისა“ და „პანტერას“კონსტრუქტორის ქალიშვილი და ა.შ.

საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელმა ბერზინმა იან ჩერნიაკს დაავალა ფინანსისტების, მეწარმეებისა და დაზვერვის თანამშრომლების გარდა, ინფორმატორები ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა შორისაც მოეძებნა. ასე, რომ 1937 წელს მოსკოვის სადაზვერვო ცენტრის კარტოთეკაში გაჩნდა ჩანაწერი აგენტის შესახებ, სახელით „ილონა“, რომლის მიღმაც უნგრული წარმოშობის ცნობილი გერმანელი მსახიობის სახელი იმალებოდა. იმაზე, რომ მარიკა როკი საბჭოთა დაზვერვაზე მუშაობდა, სერგო ბერია თავის წიგნში „მამაჩემი ლავრენტი ბერია“ წერდა: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მარიკა როკს ჰქონდა წვდომა ძვირფას სადაზვერვო მონაცემებთან, რომლებიც მამაჩემის სტრატეგიული დაზვერვის ხაზით მოსკოვს გადაეცემოდა“. თუმცა, თავად მარიკა თავის ავტოგრაფიულ წიგნში არსად ახსენებდა თავის მონაწილეობას სადაზვერვო საქმიანობაში.

სადაზვერვო ჯგუფი „კრონას“ მთავარი მიღწევა გახლდათ „ბარბაროსას“ გეგმის ასლი, კურსკზე გერმანელების შეტევის სქემა და ინფორმაცია ოპერაციაზე „სანრაიზ“.

ცენტრი იან ჩერნიაკის ჯგუფისგან იღებდა ინფორმაციას, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა ომის მიმდინარეობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაცემებს იღებდნენ მათგან, ვისაც რეიხში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა: პოლიტიკური დაზვერვა და პოლიცია (გესტაპო) სამხედრო დაზვერვა (აბვერი) და პირადად ჰიტლერის გარემოცვა. განსხვავებით ისეთი აგენტურული ქსელებისგან, როგორებიც იყო ლეოპოლდ ტრეპერის „წითელი წვეთი“, შანდორ რადოს „წითელი სამეული“, რომლებიც გამოავლინეს და გაანადგურეს, „კრონა“11 წლის მანძილზე წარმატებით მოღვაწეობდა.

ჩერნიაკის რადიოგრამების

გაშიფვრას ვერავინ ახერხებდა. უახლესი ტექნოლოგიები და თანამედროვე მასალები თვითმფრინავების მშენებლობაზე, ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები და გერმანელების სამხედრო ტექნიკის საბრძოლო პარამეტრები, მონაცემები თავდაცვის სფეროს მდგომარეობის შესახებ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის მარაგების შესახებ და საიდუმლო ცნობები ახალი საბრძოლო იარაღის შესახებ ეს არასრული ჩამონათვალია, რასაც „კრონას“ აგემტები მოსკოვს აწვდიდნენ. მათი მცდელობით, 1941 წელს საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობას ხელში ჰქონდა „ბარბაროსას“ გეგმის ასლი და მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კურსკის ბრძოლის სტრატეგიული გეგმა. ერთხელ, გებელსის აგარაკზე ვახშმობის დროს მარიკა როკმა ძვირფასი ინფორმაცია მოისმინა, რომელიც უკვე დილას მოსკოვმა იცოდა. აგენტმა „ილონამ“ ინფორმაცია იან ჩერნიაკს გადასცა, ამ უკანასკნელმა კი საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობას შეატყობინა, რომ გერმანიას ინგლისთან და აშშ-თან საიდუმლო მოლაპარაკებების დაწყების სურვილი ჰქონდა. საუბარი ეხებოდა გეგმას, რომელსაც 1945 წელს ოპერაცია „სანრაიზი“ უწოდეს.

იცოდა თუ არა მარიკა როკმა, რომ რუსებზე და საბჭოთა კავშირზე მუშაობდა ზუსტად არავინ იცის, თუმცა მისი დამსახურება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში ძალიან დიდია.

როგორ განვითარდა აგენტი „ილონას“ ცხოვრება ომის დასრულების შემდეგ?

1944 წელს მარიკა როკი ფილმის „ჩემი ოცნების ქალიშვილის“ გადაღებების დასრულების შემდეგ ზალცბურგში გაემგზავრა, სადაც დიდი ხნის ნანატრი შვილი, გაბრიელა შეეძინა. 1945 წელს, როცა ქალაქი ამერიკელებმა დაიკავეს, მარიკა ამერიკელი ჯარისკაცებისთვის კონცერტებს მართავდა (მას ფულის ნაცვლად, პროდუქტებით უხდიდნენ) 1946 წელს მსახიობი რამდენჯერმე გამოძახეს ამერიკულ კონტრდაზვერვაში, რადგან ეჭვობდნენ, რომ ფაშისტურ რეჟიმთან თანამშრომლობდა. როკის კონცერტები და ფილმები გერმანიასა და ავსტრიაში აკრძალეს. ეს ოჯახისთვის მძიმე პერიოდი იყო.

1949 წელს მარიკა მიუნჰენის თეატრში მსახიობად მიიწვიეს, სადაც 4 წელი იმუშავა. ამის შემდეგ ის გადაიღეს ფილმებში „მწვანე კაკადუ“ და მიუზიკლში „ჰელო დოლი“. 1964 წელს მსახიობი მეორედ გათხოვდა. მისი რჩეული ვინმე ფრედ პაული გახდა. მარიკა როკი უკანასკნელ დღეებამდე მშვენიერ ფორმას ინარჩუნებდა და აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. 1991 წელს 88 წლის მსახიობი ბუდაპეშტში გრაფინია მარიცას როლზე მიიწვიეს. მარიკა როკი 2004 წელს ინფარქტით გარდაიცვალა.

kulturologia.ru

ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებელი

24 მაისს, ხელოვნების სახლში „მუზა“ მეტად საინტერესო ლიტერატურული საღამო გაიმართა. საქართველოს შემოქმედებითი ინტელეგენციის წინაშე წარსდგა ორგზის პარლამენტარი, პროფესიით მათემატიკოსი ბესიკ ლაგვილავა ორ წიგნად გამოცემული რომანით „ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებელი“.

მე, როგორც პროფესიონალი მწერალი და ლიტერატორი, ვერ დაგიმალავთ იმ აღფრთოვანებას, რაც ამ წიგნის წაკითხვისას განვიცადე. ბესიკ ლაგვილავას მთავარი გმირი მწერლის პიზიციიდან კი არ იხატება, არამედ თვითონაა საკუთარი თავის შემოქმედი, თვითონ არის საკუთარი მეობის დამრახტავი. ესეც არახალია, მაგრამ ეს ყველაფერი ბესიკთან ცოტა განსხვავებულადაა. წინამდებარე ნაწარმოების დეტალურ განხილვას საგაზეთო წერილის ფორმატი არ ეყოფა, მაგრამ ძირითად ტენდენციებს რამდენადმე შევეხები, რაც მის რომანს გამოარჩევს დღემდე არსებულთაგან. გამოვარჩევ 4 ძირითად კოლოსს, 4 ძირითად საყრდენს, რომელზეც აშენებულია ეს ნაწარმოები.

პირველი კოლოსი გახლავთ ყველა ჩვენგანისათვის ავადსახსენებელი 9 მარტი. ამის თაობაზე უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი დაგროვილა და ჭეშმარიტი სიმართლე კვლავაც ბურუსითაა მოცული. დღემდე სათანადოდ ვერ გარკვეულა თუ რა მოხდა სინამდვილეში 1956 წელს: რამდენი პიროვნება შეეწირა ამ ახალგაზრდულ გამოსვლა-პროტესტს. მე ჩემი სტუდენტი ბიძებისგან ვიცი ეს ყველაფერი ჰიპერბოლური შტრიხებით, თავად პატარა ვიყავი ამ დროს და დიდობაშიც არ შემიწუხებია თავი მასზე საარქივო მასალების მოძიებით. ამაზე რაიმე სახასიათო მხატვრული ნაწარმოები დაცდენის ჯერხანობით ვინმეს კალამს. და, აი, ბესიკს მართლაც უნიკალურ დონემდე შეუმოსავს იგი. აქ აქცენტები გარეგნულ აქსექსუარებზე კი არაა, თუ ვის რამდენი კონდახი ედრუზა თავში, ან რამდენი შტიკნოჟის გაფატრული მკერდი გადაყარა ბევრისმნახველ მტკვარში, არამედ სულ სხვა რამ არის აღბეჭდილი. კერძოდ, როცა ადამიანს ფიზიკურად გაუსწორდებიან, აწამებენ უკიდურესობამდე, ამის შემდეგ მოდის ვიღაც კეთილი ბოროტი და რადგანაც დაპატიმრებულს უკვე გამოვლილი აქვს აუტანელი ტანჯვა, სთავაზობს სულ სხვა, მაცდურ, ქვეშქვეშურ ქმედებას, რომელიც ასწილ დამანგრეველი აღმოჩნდება მისთვის — ხელწერილს დასტყუებს, უდანაშაულო ადამიანს ჩაუშვებინებს, მოუსავლეთში გააგზავნინებს, რომელზეც არანაირი სამხილი იძებნება და ზუსტად, აი, აქედან იწყება ამ ვერაგული მეთოდით გადმობირებული რომანის ერთერთი პერსონაჟის მარათონული სულიერი დეპრესიები. იგი ნელინელ ისრისება უხილავი ჩექმებისაგან, უნებურად ჩაითრევია ბოროტების შეუჩერებელ ჩარხში, ნართების ეპოსში რომ გადაულის სასრიყვას მუხლების გადამბასრავ ძალად. წარმოუდგენელია ამაზრზენობა ესე, რომელიც ადამიანს ნელინელ ცინცლავს უფლისგან ხატად ბიძებული სახეს და ცხოველიიერი უფრო ჰუმანური გეჩვენება მის შემხედვარეს. იქ არის მომენტი, როცა ერთ ბოევიკს რძით შემოჩვეული კობრა გადაარჩენს აშკარა სიკვდილისაგან, გატოკების საშუალებას წაართმევს, სანამ ქვემოთ საბოლოოდ არ ამოჟუჟავენ რუსების როტას როსტოკაკა ქართველობასთან ერთად.

ბესიკის წიგნში გალაქტიონის „შარშან“ უნდა გავიგოთ, როგორც დროის სამერთიანობა — აწმყო-წარსულ-მომავალი, როგორც დრო-ჟამის განუწყვეტლობა. გალაკტიონის სტრიქონები ერთი სასმისშია მომწყვდეული წარუშლელ საჩუქრად, ერთმანეთში ალინთული თვეები, ერთმანეთში მოდრეიფე კვირანი და სიგიჟის ზღვრამდე ძარღვების დამძაგრავი დღეთა დისჰარმონიულ მონაცვლეობაში. ამ მწიფობა — დაბადაგება-გახრიოკებას შორის უცვლელი ადამიანის ტანჯვაა. უხილველია მისი სულის მეტასტაზები. როგორც უნდა ატრიალი იგი, წინიდან, უკნიდან, გვერდულად, ყირამალა, შედეგი მაინც ერთია — სრული გაპარტახება, სრული მოსარგალება. აი, სად მთვლემარებს „ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებლის“ ბნელხვეულების გასაღები.

მეორე კოლოსი, რომელიც ჯაჭვური რეაქციითაა გადაბმული პირველთან, პირობითად შეიძლება „ავღანური თემა“ ვუწოდოთ. მაგრამ რა არის ეს ავღანური თემა, რომელიც ეფემერულად ქწვეთებოდა და ქწვეთება დღესაც ჩვენს ყურთასმენას გულგრილობის მცოხნავ განზომილებად — ინტერნაციონალური მოვალეობა. არა, ის არ არის ინფორმაციული ღვარჭნილობა თუ სტატისტიკური აღებმიცემობა — ამდენი და ესოდენი, ამგვარი და ამნაირი. მე შემზრა უტეხ ავღანურ სულში ავტორის სიღრმისეულად წვდომამ. იგი არ არ არის მხოლოდ სანგრის და ჩახმახის ჰეროიკა ბოევიკური კონოლენტებიდან რომ გვიხილავს, არამედ აქ სხვა მცხუნვარებაა, ავღანური „ჰალსტუხებითა“ და ვარდისფერი პერანგებით გამორჩეული მცხუნვარება. „ჰალტუხების“ ნასკვზე კოლუმბიიდანაც გვსმენია, ყანყრატოს რომ გამოუფატრავენ დატყვევნილს, გადმოუგდებენ ენას მკერდზე ომის მკაცრი კანონების სახსოვრად. მაგრამ ვარდისფერ პერანგზე ღირს სიტყვის შეჩერება, იგი ინდიელების სკალპის აზდის ერთგვარი მასშტაბურობაა, როცა ტერფიდან კინკრიხომდე განიძარცვები ტყავისგან და ვარდისფერად აბრიალდები ლეღვივით ზეზეურად გაფცქვნილი — სიცოცხლის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა, აი რა სტრიქონები ესადაგება ამ ამაზრზენ კანგაცლას კაცისას და კიდევ რადისავის სარზე გასმა ივო ანდრიჩის ჩინებული რომანიდან „დრინის ხიდი“. კითხულობ ამისთანა სცენებს და მისდა უნებურად სიმპათიით აღივსები თითქოსდა ამ ნახევრად ველური ადამიანებისადმი, დანარჩენ თახსირ მსოფლიოს არასრულფასოვანად რომ შეურაცხავს. კაცი, რომელიც საკუთარ ოჯახს იცავს, ქალი რომელიც საკუთარ კერიას გადაფოფრებია, გზარავს და გხიბლავს ერთდროულად. ყველა გზა გამართლებულია მაკიაველისებურად, თუკი იგი სამშობლოს დასაცავადაა მიმართული და ბესიკი, რომელსაც არა მგონია რაიმე სამხედროს მსახურების ვალდებულება აკავშირებდეს ამ სივრცესთან, სწორუპოვარი მსაჯულად მოევლინება კაცთმოძულე კაცობრიობას.

მესამე კოლოსს პირობითად სოციუმს დავარქმევდი, ოღონდ ის არ არის თემის იმპორტი, არამედ სუფთა შინაური აჯაფსანდალია, დარდუბალა. ეს არის ქართველი კაცისა და ქალის უსიყვარულო დამოკიდებულების ღობეძრომიალი. აქ გაუსძლისი მოზაიკური სახასიათო კრიალოსნებია, რომლებიც საკუთარ თავსაც კი არ ეკუთვნიან. ისინი მხოლოდ სახელებით მოიხსენებიან. მათ არ გააჩნიათ გვარის გაგება. ესენი სახეწაშლილთა დეგრადირებული კასტაა, ანუ შტაინერის კლასიფიკაციით — უპიროვნონი. ყველა დიდი მწერალი ჩანაფიქრს მინიშნებით ამჟღავნებს, ასეა ჰომეროსთან — აქილევსი მრისხანებს იმიტომ, რომ არ უნდა თვისტომი ტროელების გაჟუჟვა; რასკოლნიკოვი ილლიაში იმისთვის ამოიჩრის ნაჯახს, რომ ბრალეულობით ჩაშალის ვიგინდარა ვაჭარ მერმელადოვთან მწყაზარი დაიას — დუნიას ქორწინება. მსგავსი მიმართებანი არც ბესიკ ლაბვილავასაა უცხო. მე აღმაფრთოვანმა მისი ცოდნის დიაპაზონმა. საიდან მოასწრო ამდენის წაკითხვა ტექნიკური განათლების კაცმა?! ამას ხომ ინტერნეტით ვერ შეიძენ, საუბარია 2–3 ათას მხატვრულ ნაწარმოებზე.

იმ მესამე კოლოსში, პირობითად ქალის და კაცის ურთიერთობები რომ მიწოდებია, იგივე ქართული სოციუმი, შვილი გაჩენას ვერ ასწრებს, ისე წარედდინება ცად. ელიოტის უნაყოფო მიწის გარემოა, აი, რა შეიძლება დამატებით ეწოდოს ამ მესამე კოლოსს.



მეოთხე სვეტიცხოველი, ყველაზე ამაღლებული და გამორჩეული, რომელსაც მე თავში სამერთიანი დრო — კონტინუუმი ვუწოდე, ერთ სივრცეში მოქცეული დანტე ალიგიერის სალხინობელ-ჯოჯოხეთ-სამოთხეა. იგი უნიკალურია ხატვის ექსპრესიით, დინამიზმით, ხატობრივი ფერწერით და ინფორმაციულობით. იგი ერთგვარი სამხილი მასალაა თუ როგორი ბიწიერებით გვიცხოვრია და რამდენად ვსაკლისობდით სიწმინდის თვალშეუდგამ გრილწყაროებს. რას ნიშნავს მაკედონელი, ცეზარი, ნაპოლეონი, როცა სამთავიანი ცერბერი დაღერილა შენს დასაფლეთად. მართალია, იგი უპირტასად ერთი თავით დაიარება, მაგრამ ორი ხიმ ილლიაში ამოუჩრია და არავინ უწყის როდის დააბჩენს ჩაყვითლებულ ღიჯებს დამატებითი ვნების მოსატანად. აქ თავის ქალები დაგორავენ ყოველ ნაბიჯზე ყუნწმომტვრეულ გოგრებივით. ამ პასაჟების წამკითხავი ადამიანი რამდენადმე გადაქანდები უჩრდილებო სხეულებისკენ.

18 წელიწადია თურმე ბესომ თავისი პირველი რომანოპირმშო მიივიწყა, მაგრამ ბუხარში ცეცხლის მივიწყება გაგონილა, გინდა ნაცარში ყოფილა იგი გახვეული?! დაიბადა ეპოქალური რომანი „ლამაზად სიკვდილის თვითმასწავლებლის“ სახელით და აწი პატრონობა სჭირედება მას, როგორც ავტორისაგან, ისე ამ შესანიშნავი წიგნის მკითხველებისგან...

გური ოტობაია,
24.05.-03.06.2019 წ.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
ISSN 2233-3983
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com